აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომის პროექტი თემაზე

ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურება

ანი ჯაჭვაძე

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი (სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი, წოდება, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი)

ანი ჯაჭვაძე

---

ajachvadze@gmail.com 555220078

ვადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი „ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორლური ზიანის ანაზღაურება“

1. მომზადებულია ჩემს მიერ და იგი:

ა. არ არღვევს მესამე პირთა საავტორი უფლებებს საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორის ხელმოწერა: _____ (ანი ჯაჭვაძე)

თარიღი: ___/___/___

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ანი ჯაჭვაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **„ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ნაზღაურება“** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: _____ (გია ლილუაშვილი)

თარიღი: ___/___/___

რეზიუმე

სამოქალაქო სამართალში, ზიანის ცნებაში მოიაზრება კანონით დაცული სიკეთეების ყოვეგვარი ხელყოფა. მორალური ზიანი ეს არის ეკონომიკურად გაუზომადი ზიანი. ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანში მოიაზრება ადამიანისათის კანონსაწინააღმდეგი ქმედებით მიყენებული ვნების შედეგად გამოწვეული სულიერი ტრამვა, რომლსაც ფულადი ეკვივლენტი არ გააჩნია. ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღურება მიზნად ისახავს პირისათვის მიყენებული ზიანის შედეგად გამოწვეული განცდის ან ტანჯვის აღკვეთის ან შემსუბუქებისაკენ, როგორიცაა მიყენებული არამატერიალური ზიანით გამოწვეული უხერხულობის, ტკივილების ჯანმრთელობის გაუარესების, ტანჯვით გამოწვეული ნეგატიური განცდების შემსუბუქება, ასევე დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც სამომავლოდ დაზარალებულს ეხმარება სულიერი გაწონასწორების მიღწევაში და სოციალური ურთიერთობებისა და საქმიანობაში ჩართვაში.

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა დღევანდელ სასამართლო პრაქტიკაში აქტუალური საკითხია. კვლევის დროს გამოიკვეთა პრობლემები, რომელიც თნ ახლავს მოთხოვნის საფუძვლებს და ანაზღაურების კრიტერიუმებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობა ზიანის ანაზღაურების ზუსტი დეფინიციას არ განსაზღვრავს, რაც თავისთავად სასამართლო პრაქტიკის პრობლემას წარაადგენს, ამავდროულად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ კანონით დადგენილ ზუსტ შემთხვევებშია შესაძლებელი.

კვლევის დროს საკითხი განხილულია როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ჭრილში. რა შემთხვევებში და რა ოდენობით უნდა ანაზღაურდეს ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანი, რა

კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს განცდილი სულიერი ტანჯვა და ფორმულით უნდა იქნეს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა განსაზღვრული - ეს არის ის ძირითადი პრობლემატური საკითხები რომელსაც წავაწყდი კვლევის დროს.

წინამდებარე კვლევაში მოცემულია როგორც საკითხის თეორიული ასპექტი, ასევე ქართული და ადახმიანის უფლებათა ევროპული სამართლო პრაქტიკის ანალიზი.

Summary

In civil law, the idea of damage implies any type of encroachment of property protected under the law. The moral damage is a damage, which cannot be measured in economical view. Damage caused as a result of health damage implies any kind of illegal action causing moral trauma, which does not have a monetary equivalent. Compensation of moral damage for the health damage caused aims at minimization or elimination of the unpleasant experience or torture caused to a person a result of damage. Unpleasant experience or torture includes inconvenience caused by non-material damage, pain, health deterioration, mitigation of negative feelings caused by the torture, as well as emotions, which helps the victim to reach peace of mind in the future, restore his/her social interactions and involvement in activities.

Court decision analysis indicates, that requesting compensation for the health damage is a current topic of court practice. During the study certain problems accompanying claim ground and reimbursement criteria have been identified. First of all it shall be noted that, Georgian legislation does not provide accurate definition of damage compensation, what is a problem of court practice. At the same time, claim of damage compensation is admissible only in certain cases defined under the law.

During the study, the case was considered in the theoretical, as well as practical view. In what cases and to what extent should the moral damage caused by the damage of health shall be compensated, what shall be the criteria for defining mental torture experienced and how the amount of damage to be compensated shall be calculated- these are the basic issues, which I came across during my study.

This study provides both, theoretical aspects of the issue and the analysis of Georgian and European Court of Human Rights practices.

სარჩევი

შესავალი 8

ლიტერატურის მიმოხილვა 11

II ჯანმრთელობის დაზიანების ცნება და სახეები 13

2.1 ჯანმრთელობის უფლება და მისი ცნება 13

2.2 ჯანმრთელობის ხელყოფა 15

2.3 დაზიანების სახეები 16

2.4 მორალური ზიანის ცნება 18

2.5 მორალური ზიანის ანაზღაურების მოდელი ევროპული ქვეყნის კანონის შესაბამისად 21

III. ზიანის ანაზღაურება 24

3.1 სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არაქონებრივი ზიანის მიყენებისას 24

3.2 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი 25

3.3 ზიანის ანაზღურება და მიყენებული ზიანის განსაზღვრის კრიტრიუმები 26

IV არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები 32

4.1 სამოქალაქო კოდექსის 413-ე, 999-ე და 1000-ე მუხლები 32

4.2 მორალური ზიანის არსებობა 34

4.3 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზიანის 43

ანაზღაურების წინაპირობები 43

V. არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საქმის წარმოება 46

5.1 საქმის წარმოების დაწყება, მისი საფუძვლები და საგანი.....46

5.1.1 სასამართლო გადაწყვეტილება.....50

5.2. საქმის წარმოების ხანდაზმულობა 51

VI სასამართლო პრაქტიკა.....53

6.1ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა 53

6.2ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 56

შედეგები და მათი განსჯა 58

დასკვნა 60

ბიბლიოგრაფია.....62

შესავალი

ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული არამატერიალური, იგივე მორალური ზიანის ანაზღურების საკითხი აქტუალურობას არ კარგავს, სწორედ ამიტომ გამოიწვია აღნიშნულმა თემამ ჩემი დაინტერესება, კერძოდ კი არაერთგვაროვანმა სასმართლო პრაქტიკამ.

არამატერიალური ზიანის ანაზღაურება უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრობლემაა ქართულ მართლმსაჯულებაში. მისი განსაზღვრის არაერთგვაროვანი წესი არსებობს და როგორც სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს იგი არ წარმოადგენს ჩარჩოში მოქცეულ დოგმას, რომელსიც ერთგვაროვანი ფორმულის სიზუსტით ადგენს ზიანის ანაზღაურების ოდენობას და პრინციპს.

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფუნდამენტური ღირებულებაა, რომლის დაცვის გარანტიც საქართველოს სამოქალაქო

კოდექსია. ამიტომ, განსახილველი საკითხი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც იგი უკავშირდება ადამიანის აბსოლიტური უფლების ხელყოფას. თემა აქტუალურობას არ კარგავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ თეორიაში გავრცელებულია პრობლემის ირგვლივ სხვადასხვა მოსაზრება, რის გამოც იურიდიულ ლიტერატურაში გამოხატულია საკითხისადმი არაერთგვაროვანი მიდგომა, თუმცა კიდევ უფრო საინტერესოა საკითხის პრაქტიკულ ჭრილში განხილვა და მისი არაერთგვაროვანი გადაჭრის გზების დანახვა. [1]

წინამდებარე ნაშრომის არსს და მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ცნების, არსის და ოდენობის განსაზღვრის თვისებურებანი და პრინციპები. ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული დამოკიდებულების განხილვა.

ჯანმრთლობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების თობაზე სასამართლო სტატისტიკის შეფასება, ამყარებს თემის აქტუალურობასთან დაკავშირებულ მოსაზრებას და წინამდებარე ნაშრომის საჭიროებას.

განსახილველი თემის ფარგლებში განხილული იქნება მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა ჯანმრთლობის ხელყოფით გამოწვეული ზიანის ცნების განმარტება, ოდენობის განსაზღვრა და სასამართლოში საქმისწარმოების თავისებურებანი.

ამ მიზნით გამოყენებული იქნება შედარებითი სამართლებრივი მეთოდი, რომელიც ფართოდ გამოყენებადია სამეცნიერო კვლევის პროცესში.

[1] ბიჭია მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი, მართლმსაჯულება და კანონი N3(15)

შედარებითი ანალიზისთვის გამოყენებული იქნება როგორც საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასმართლოს განჩინებები და გადაწყვეტილებები.

ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე კვლევა - ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოიცავს როგორც თეორიულ ასევე სასამართლო პრაქტიკის ასპექტებს. იმისათვის რომ თვალსაჩინოდ ყოფილიყო წარმოდგენილი თეორიული ნაწილის პრაქტიკაში გადმოცემის ნიმუშები, თემაში განხილულია როგორც იურიდიული ლიტერატურა ასევე ქართული სასამართლო და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

კვლევის დროს განხილული ადამიანის უფლებთა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ნატლად წარმოაჩენ თუ რამხე გავლენის მატარებელია ევროპული სამართლის პრეცედენტები ქართულ სამართალზე.

II ჯანმრთელობის დაზიანების ცნება და სახეები

2.1 ჯანმრთელობის უფლება და მისი ცნება

იმისათვის, რომ უკეთ იქნეს კვლევის მიზეზები და შედეგები გაგებული, უპირველს ყოვლისა განვსაზღვროთ, თუ რა არის ჯანმრთელობის უფლების დეფინიცია.

საქართველოს კონსტიტუცია, ადამიანის უფლებათა შორის პირველ ადგილზე აყენებს ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „ადამიანის წამება არაადამიანური თუ დამამაცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია[2].“ აღნიშნული მუხლი გაგებული უნდა იყოს იმგვარად, რომ კონვენციით განმტკიცებული უფლებები პირდაპირ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის უფლებას.[3]

როგორც ასეთი, საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირ არ არის გაწერილი ადამიანის უფლება ჯანმრთელობაზე, მიუხედავად ამისა, იგი თავისი შინაარსით გულისხმობს ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას, რომელიც წარმოეშვება დაბადების მომენტიდან.[4]

„ჯანმრთელობის უფლების დაცვა, გარანტირებულია უნივერსალური ხასიათის საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით“, რომლებიც თუმცა კი ზოგადად, მაგრამ მკაფიოდ გამოხატავენ ამ უფლების უზენაესობას და ვალდებულს ხდიან სახელმწიოებს, შეიმუშავონ და შექმნან აღნიშნული უფლების დაცვის სათანადო მექანიზმები. ბოლო პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, წარმოიშვა სამართლებრივი სფეროს ჭრილში მოწესრიგების აუცილებლობა, როგორც საერთაშორისო, ასევე ეროვნულ დონეზე. ჯანმრთლობის დაცვის უფლება უმაღლესი ხარისხით არის აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით, საქართველოში კი, ჯანმრთლობის უფლების დაცვის მომწესრიგებელი კანონები ცხადყოფს,

---

[2] იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითადთა თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი 1950წ მუხლი 3
[3] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის თბილისი 2003
[4] იხ. შ. ჩიკვაშვილი, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის

ჩვენი ქვეყნის ინტერესს ადამიანის ჯანმრთელობის უფლების დაცვის აქტების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხარისხს ეროვნულ დონეზე.[5]

თითოეული ადამიანისთვის, მის პირად და მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანიებისს ჯანმრთელობაზე ფიქრი ყოველდღიურ საზრუნავს წარმოადგენს, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, ეკონომიკური და სოციალურ-ეკონონიური ან ეთნიკური წარმოშობისა, რაც ზრდის ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას. მეორეს მხრივ ცუდი ჯანმრთლობა ხელის შემშლელი შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანისათვის ყოველდღიურ აქტიურ ცხოვრებაში და სოციალურ აქტივობებში.[6]

ჯანმრთელობის უფლება ადამიანის უფლებების ძირითადი ნაწილია. ჯანმრთელობის უფლებით სარგებლობის უმაღლესი უფლება ახალი არ არის საერთაშორისო დონეზე, იგი პირველად ჩამოყალიბდა 1946 წელს, ჯანმრთლობის მსოფლიო ორგანზაციის კონსტიტუციაში, როგორც „სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა“. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში ასევე ნახსენები იყო ჯანმრთლობა, როგორც ცხოვრების ადეკვატური დონის უფლების ნაწილი, (მუხ. 25). მას შემდეგ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებმა აღიარეს ჯანმრთელობის უფლება. ყველა სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს მინიმუმ ერთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას ეხება, ან ამ უფლების ელემენტებს შეიცავს. უფრო მეტიც, სახელმწიფოებმა ვალდებულება იკისრეს დაიცვან საერთაშორისო დეკლარაციები შიდა კანონმდებლობისა და პოლიტიკის საშუალებით. [7]

---

[5] იხ. კვანტალიანი ნ.პაციენტის უფლების დაცვის საერთაშორისოსტანდარტები ,ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N2,2011

[6] World Health Organization, The Right to Health, Office of the United Nations High Commisioner for Human Rights www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf

[7] World Health Organization, The Right to Health, Office of the United Nations High Commisioner for Human Rights, https://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf

2.2 ჯანმრთელობის ხელყოფა

საკვლევი საკითხის შესაბამისი ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ურთიერთპარალელური განხილვის საფუძველზე, შესაძლებელია ნათლად დავინახოთ იმ ნორმატიული აქტების მიზნობრიობა და საფუძვლები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს შიდა კანონმდებლობაში და საერთაშორისო შეთნხმებებსა და პაქტებში.

ჯანმრთელობა, ეს არის ადამიანის სრული ფიზიკური, გონებრივი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა, და არა მხოლოდ რაიმე დაავადების ან ორგანიზმის სისუსტის არარსებობა. ჯანმრთელობა ეს არის ყველაზე მაღალი სტანდარტით სარგებლობის ფუნდამენტური უფლება, რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე.[8]

ქართული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ზიანი არის პირის პირადი უფლებების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება. მორალური ზიანის შინაარსს წარმოადგენს ადამიანის ფიზიკური ან სულიერი ტრამვა. [9]

ჯანმრთელობის ხელყოფა გამოიხატება ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით და მისთვის ვნების მიყენებით, საქართველოს სამოქალაქო კოდესის 18-ე, 413-ე და 1000-ე მუხლები კუმულაციურად მოქმედებს და ემსახურება პირს არაქონებრივი უფლებების დაცვას, რომელშიც ჯანმრთელობის და მისი ხელშეუხებლობის უფლებაც მოიაზრება.

მორალური ზიანს მიყენება არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ მოქმედებით მიყენებული ზიანის ჭრილში, იმდენად რამდენადაც მორალური ზიანის მიყენება ასევე შესაძლებელია უმოქმედობითაც (მაგ. მიტოვება, პირველადი დახმარების აღმოუჩენლობა, პირის სიცოცხლისთვის საშიშ გარემოში დატოვება) იყოს გამოწვეული.[10]

---

[8] იხ. CONSTITUTION OF THE WORLD HEALTH ORGANIZATION,, https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf (25.06.2021)

[9] იხ. შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ტომი 2

[10] იხ. მ. თოდუა, შ. ქურდაძე, გადაწყვეტილების მიღების თვისებურებანი, თბილისი 2005 წ.

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი შეიცავს პირადი ცხოვრების ფართო კონცეფციას, რომლის ამომწურავი განსაზღვრება არ არსებობს. მიუხედავად ზუსტი მითითების არ არსებობისა, ზოგადი ინდივიდუალობის დაცვის შესახებ, შესაძლებელია ითქვას, რომ ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის ცნება უნდა მოიაზრებოდეს პირადი ცოვრების პატივისცემის უფლებაში.[11]

უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნულობის დაცვის გარანტიები საქართველოში გარკვეულწილად მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით ხასიათდება. ქართული კანონმდებლობის პირადი უფლებების დაცვის უკეთეს მექანიზმად ქცევისათვის, საჭიროა სასამართლო პრაქტიკაში ზოგადი პიროვნული უფლებების აღირება. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, მსგავსად ზოგადი ევროპული წესისა, მორალურ ზიანის ანაზღაურება ხდება კანონით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში.[12]

2.3 დაზიანების სახეები

სსკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე, განმრტავს, რომ ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი, ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად, შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია.[13]

---

[11] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 21

[12] იხ. მ. ბიჭია პირადი უფლებების ხელყოფისათვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ გვ.25

[13] სუსგ 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმე №ას-543-518-2016

ტერმინი „მორალური ზიანი“ არ მოიცავს სრულად იმ დანაკარგებს რასაც პიროვნება განიცდის მისთვის მიყენებული ზიანის შედეგად. დანაკარგები არ გამოიხატება არა მხოლოდ ფიზიკურ ფსიქიკურ და ზნეობრივ ტანჯვაში, არამედ იწვევს პირის სოციალური მდგომარეობის დაკარგვას, იგი თავს გრძნობს დაჩაგრულად, კარგავს სოციალურ სტაბილურობის შესაძლებლობას, თვითრწმენას. გარკვეულ შემთხვევებში, მორალურ ზიანს თან ახლავს მატერიალური ზიანიც, გამომდინარე იქიდან, რომ დაზარელებულს შეიძლება დაუქვეითდეს ან სრულად დაკარგოს შრომისუნარიანობა. [14]

სასამართლო პრაქტიკაში გამოთქმულ და მეცნიერებაში დამკიდრებულ მოსაზრებებს აერთიანებს, ის გარემოება რომ „მორალური ზიანის“ ინსტიტუტი ითვალისწინებს პირისათვის მიყენებული ტანჯვის ანაზღაურებას. მორალურ ზიანთან მიმართებაში ფართოდ არის დამკვიდრებული ტერმინი „ტანჯვა“, რითაც განისაზღვრება რომ მორალური ზიანში მოიაზრება მოქმედებით (უმოქმედობით) მიყენებული მორალური ან ფიზიკური ტანჯვა, რომელიც ხელყოფს ადამიანის თანდაყოლილ არამატერიალურ სიკეთეებს (სიცოცხლეს, ჯანმრთელობა, პიროვნულ ღირსებას, საქმიან რეპუტაციას, პირადიცხოვრების ხელშეუხებლობას და ა.შ) ან არღვევს მის პირად არაქონებრივ უფლებებს.[15] ამრიგად „ზნეობრივი ტანჯვა“ შეიძლება ეწოდოს უარყოფით ემოციებს, რომლებიც წარმოიქმნება ადამიანის ფსიქიკაში, ზიანის მიმყენებლის ქმედების შედეგად. აუცილებელი პირობაა, გამოიწვოს გარკვეული ფსიქიკური რეაქციები, არასასიამოვნო ცვლილების შედეგად ადამიანის შეგნებაში გამოიწვიოს უარყოფითი შეგრძნებები და განცდები. განცდა შესაძლებელია გამოხატული იყოს სხვადასხვაგვარად.[16]

---

[14] იხ. ლ. ...ბაძე მორალური ზიანის ცნება თუსუ 2010წ N2 (10)
[15] მ. ...ია, შ.ქურ...ძე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი თბილისი 2005 გვ.68
[16] იხ. ნ. ბარ...ბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა თბილისი 2012 წელი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცნება „ფიზიკური ტანჯვა და „ფიზიკური ზიანი“ არ არის იდენტური ცნებები. „ფიზიკური ტანჯვა“ ეს არის მორალური ზიანის ერთ-ერთი სახე, ხოლო ფიზიკური ზიანი ეს არის ნებისმიერი უარყოფითი ცვლილება ადამიანის სხეულში. მაგალითისთვის, შეიძლება გნვიხილოთ შემთხვევა, პირის დაზიანება ავტოავარიის შედეგად. დასახიჩრება ეს არის სხეულის დაზიანება, რომელმაც გაოიწვია ფიზიკური ტანჯვა, რომელიც შეიძლება გრძელდებოდეს განგრძობითად, აღნიშნულს თან შეიძლება სდევდეს არასრულფასოვნების გაცნობიერება, რომ ვეღარ შეძლებს ჩვეული ცხოვრების გარძელებას, სამუშაოს დაკარგვას და სხვა უარყოფითი გარემოებები. ჩამოთვლილი განცდები, როგორც ფიზიკური ასევე ფსიქიკური, წარმოადგენს მორალურ ზიანს და დაზარალებულს წაროეშვება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისის 413-ე მუხლის შესაბამისად ზიანის მოთხოვნის უფლება. [17]

მორალური ზიანი შეიძლება მდგომარეობდეს ზნეობრივი განცხადების გაკეთებაში, აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების გაგრძელების შეუძლებლობაში, სამსახურის დაკარგვაში, ოჯახური, პირადი ან/და საექიმო საიდუმლოების გამჟღავნებაში, რეპუტაციისა და სახელის შემლახავი ტყუილი ცნობების გავრცელებაში, რომელიც შეუსაბამოა სინამდვილესთან, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ფიზიკურ ტკივილში ან სხვაგვარი ვნების მიყენებაში, რომელიც პირმა გადაიტანა ზნეობრივი ტანჯვის შედეგად. [18]

2.4 მორალური ზიანის ცნება

„ანგლო-ამერიკულ და ფრანგულ სამართალში, მორალური ზიანი არის ეკონომიკური თვალსაზრისით გაუზომადი ზიანი, რომელიც სხვისი არამატერიალური სიკეთეებისა და არაქონებრივი სიკეთეების ხელყოფას

[17] იხ. ლ. ლ. ნაძე არაქონებრივი ზიანის ცნება „უსუ 2010 N2(10)
[18] მ. ოდა, შ. ქურდაძე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი „ბილისი 2005 გვ.69

მოიაზრებს.“[19] თუმცა, შესაძლებელია დროის დინებასთან ერთად, არამატერიალურმა ზიანმა შეიძინოს ქონებრივი ხასიათი. ზიანის მორალური ხასიათი დამოკიდებულია არა ხელყოფილი სიკეთის თვისებებზე, არამედ ზიანის იმ თვისებაზე, რაც ამ შედეგის ქონებრივ შეფასებას და ფულად ეკვივალენტში გამოხატვას შეუძლებელს ხდის, აღსანიშნავია, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზები არამატერიალური და მატერიალური ზიანის დროს იდენტურიც შეიძლება იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მატერიალური და არამატერიალური ზიანი ერთგვაროვანია.[20]

შესაბამისად, არაქონებრივი ზიანი ფიიკური ან/და ფსიქიკური ტანჯვაა, რომელსა ც შეიძლება მოჰყვეს უარყოფითი ფსიქიკური შედეგი.[21]

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, აუცილებელია ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო ხასიათის. ჯანმრთელობის დაცვის გარანტს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თნახმადაც „სხეულის დაზიანების ან ჯანმრთლობისათვსი ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება ქონებრივი ზიანისთვისაც“.[22]

თუ ზიანი დადგა მართლზომიერი მოქმედებებით, ასეთი ზიანი არ ანაზღაურდება, მაგალითისთვის მართლზომიერი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ჯანმრთლობის დაზიანებით დამდგარი ზიანი, მსგავსი შემთხვევების შედეად გამოწვეული ზიანი არ ანაზღაურდება, ვინაიდან, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია მართლზომიერია.

ევროპის ქვეყნებში პიროვნება აღიარებულია, როგორც უზენაეს ღირებულებად და მისი დაცვის მექანიზმად დააწესეს არაქონებრივი ზიანის

[19] იხ. ბიჭია მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თვისებურება სამოქალაქოპროცესში თბ.2017 გვ.54
[20] იხ. ბიჭია მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი თბ.2016 N3 (51) გვ.100
[21] იხ. ბიჭია მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი თბ.2016 N3 (51) გვ.101
[22] საქართველოს სამოქალაქოკოდექსი, მუხლი 413

მატერიალური ფორმით ანაზღაურების პრინციპი, რომელიც ასახულია ასევე სსკ-შიც. სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი სიკეთეების ბრალეული ხელყოფისას უფლებამოსილ პირს, მიეცა საშუალება მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.[23]

საქართველოს სამოქალაო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი კომპენსაცია შესაძლებელია მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად დადგენილი შემთხვევებში, მხოლოდ გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. შესაბამისად ამ კანონის მიზანია, შეავიწროვოს ამ ნორმით განსაზღვრული შედეგების დაუსაბუთებელი გაფართოება. ამდენად თუ ნორმაში მითითებულია მხოლოდ „ზიანის ანაზღაურების" და არა უშუალოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის თაობაზე[24], იგულისხმება, რომ არაქონებრივი სიკეთის შელახვა, პირს აძლევს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.[25]

კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას მხოლოდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეების (პატივი ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ჯანმრთელობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვ.) ხელყოფისა და არაქონებრივი ზიანის არსებობის დროს მისი ანაზღაურების შესაძლებლობას.[26]

აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათის მატარებელია, რადგან მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. სსკ-ის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სხეულის ან ჯანმრთლობის ხელყოფის შედეგად დაზარალებულს შეუძლია მოთხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება.

---

[23] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 16.
[24] იქვე. 17
[25] იხ. შ. ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის თბილისი 2003
[26] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 18

მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს, ერთდროულად უნდა არებობოდეს არაქონებრივი ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზეშედეგობრივი კავშირი (ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) და ბრალი. ზიანი ანაზღურდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა პირმა მიიღო სხეულის დაზიანება, რამაც გამოიწვია მძიმე შოკი ან/და წმინდა ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელიც არ არის გამოწვული სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების პირდაპირი შედეგი, არ ანაზღაურდება.[27]

2.5 მორალური ზიანის ანაზღაურების მოდელი ევროპული ქვეყნის კანონის შესაბამისად

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი შეიცავს პირადი ცხოვრების ფართო კონცეფციას, რომლის ამომწურავი განსაზღვრება არ არსებობს. მიუხედავად ზუსტი მითითების არ არსებობისა, ზოგადი ინდივიდულაობის დაცვის შესახებ, შესაძლებელია ითქვას, რომ ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის ცნება უნდა მოიაზრებოდეს პირადი ცოვრების პატივისცემის უფლებაში.[28]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახდენს არამატერიალური ზიანის შემთხვევათა კლასიფიკაციას. აქ გამოიყოფა არაქონებრივი ზიანის შემდეგი შემთხვევები: სხეულის დაზიანება, ფსიქიკური ზიანი, პატივისა და ღირსების ხელყოფა. ამასთანავე ევროპული სასამართლო, მიუხედავად გრძელვადიანი სამართალწარმოებისა, შედეედგად იძლევა სამართლიანი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას. [29]

გერმანული სამართალი ფსიქიკური ზემოქმედებისას არამატერიალური ზიანის ანაზღაურებისთვის მოითხოვს მკვეთრად გამოხატულ მძიმე სახის

[27] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 19.
[28] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 21
[29] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 21

ზიანის არსებობას, ხოლო ინგლისური ფრანგული სამართლისათვის საკმარისია მცირე ზიანის არსებობის დამტკიცება.

საფრანგეთის კანონმდებლობაში არამატერიალური ზიანი არ არის გამოყოფილი ცალკე ზიანის სახედ. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მიყენებისას მოთხოვნის საფუძვლები ძირითადად ემთხვევა ზიანის შემთხვევაში პასუხისმგებლობის ზოგად წინაპირობებს. ამასთან, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოები მიმართავენ ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებებს. სწორედ ამის გამო საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა დაემსგავსა გერმანიის სასამართლო პრაქტიკას. საფრანგეთში არც სასამართლო და არც კანონმდებლობა არ ზღუდავს პირად არაქონებრივ უფლებებს და სამართლებრივ სიკეთეებს რაიმე ჩამონათვალით. ამიტომ ზიანის ფულადი ანაზღაურება დაშვებულია ბევრ შემთხვევებში, რაც ზრდის ამ სიკეთეების სამართლებრივ დაცვის საშუალებას..[30]

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირებულების-ინდივიდუალობის დასაცავად, ევროპაში დაწესდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მატერიალური სახით, რაც აისახა სსკ-შიც. კვლევის შედეგად ცხადი გახდა, რომ საქართველოს სასამართლო პრაქტიკა ძირითადად არამატერიალურ ზიანზე კომპანსაციის დაკისრებას განიხილავს მომწესრიგებელი ნორმის „ტელეოლოგიური რედუქციის საფუძველზე". გერმანიაში გატარებულია კონტინენტური ევროპისათვის დამახასიათბელი ზოგადი წესი, „არაქონებრივი ზიანის კანონით განსაზრვრულ შემთხვევებში ანაზღაურება, მაგრამ საქართველოში ის განსხვავებულია სპეციფიკური თავისებურებებით. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გერმანია საკანონმდებლო ცვლილებებსა და „ზოგადი პიროვნული უფლებების" საფუძვლების გათვალისწინებით აფართოებს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების კრიტერიუმებს.

[30] იხ. მ. ბიჭია პირადი უფლებების ხელყოფისაგან არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ გვ.20

აღნიშნულთან მიმართებაში საფრანგეთი უფრო თავისუფალია, ხოლო რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ამ შემთხვევაში ხაზგასმულია „ინდივიდუალობის კავშირი პირად ცხოვრების ხელშეუხებლობასთან და მის ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევა, ხოლო არამატერიალური ზიანის ანაზღაურება არ უკავშირდება ზიანის მაქსიმალურად მძიმედ შერაცხვას. არამატერიალური ზიანი ანაზღაურდება მისი კონკრეტული გამოვლინების გამოკვეთის გზით, რომელიც ფაქტობრივად , ინგლისურ სამართალს უახლოვდება“.[31]

გერმანიაში მკვეთრად არის გამოხატული არამატერიალური ზიანის ანაზღაურების წრის გაფართოება, რომლის საშუალებასაც გსკ-ის 823-ე მუხლი იძლევა, საქართველოში არსებული პრაქტიკა კი ცხადყოფს, რომ თანამედროვეობა ძნელად ეგუება სიახლეებს, . სასამართლო პრაქტიკის დასავლურ მოდელად ქცევისათვის და მაღალი სტანდარტების დადგენისათვის უნდა მოხდეს კანონის მიზნის დაცვა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წრის გაფართოება, მეცნიერული ცოდნის საფუძვლებზე დაყრდნობით. ზემოთქმული ნათლად წარმოაჩენს, რომ საქართველომ, რომელიც იზიარებს გსკ-ს ძირითადი დებულებებს, აუცილებელია გაითვალისწინოს ასევე ზიანის ანაზღაურების გერმანული სასამართლო პრაქტიკა და მოდელი.[32]

[31] იხ. მ.ბიჭია პირადი უფლებების ხელყოფისა ტის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. გვ21

[32] იხ. მ.ბიჭია პირადი უფლებების ხელყოფისა ტის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან.გვ 25

III. ზიანის ანაზღაურება

3.1 სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არაქონებრივი ზიანის მიყენებისას

„ადამიანის ჯანმრთელობა ეს არის სრული ფიზიკური ად ფსიქიკური კეთილდღეობის მდგომარეობა, რის დაზიანებამაც, შესაბამისად უნდა გამოიწვიოს ადამიანის სრული კეთილდღეობის დაკარგვა. ჯანმრთელობაზე უფლებას აქვს აბსოლიტური ხასიათი და მას შეესაბამება ამ უფლების დამრთვევ პირთ თავშეკავების მოვალეობა“.[33]

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი საკმაოდ ხშირად განიცდის ფიზიკურ თუ სულიერ ტკივილს, ყოველთვის არ წაროეშობა პირს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს მხოლოდ 413-ე მუხლში ჩამოთვლილი სიკეთეების სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანება. აღნიშნული უფლება თავის თავში მოიცავს, კანონით გათვალისწინებული პირობების ან მორალური ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის საფუძვლების არსებობას. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წრმოიშობა შემდეგი წინაპირობების არსებობისას:

ა). პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფა ან სხვა არამატერიალური სიკეთების ხელყოფის შედეგად მიღებული მორალური ზიანი.

ბ). არამართლზმიერი ქმედებების შედეგად დარღვეული არაქონებრივი უფლებები;

გ). მიზეზობრივი კავშირის არსებობა, არამართლზომიერ ქმედებას და დამდგარ მორალური ზიანს შორის;

დ). მორალური ზიანის მიმყენებლის ბრალი.[34]

---

[33] იხ შ ჩიკვაშვილი, პასუხიმგებლობა მორალური ზიანისთვის თბილისი 2003

[34] იხ. ნ. ბარბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა გამომცემლობა უნივერსალი, თბ. 2012 წელი

არამატერიალური ზიანის მოთხოვნისას სამოქალაქო სამართლით დადგენილი წესების გზით, ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემეტია ბრალი. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება პირს დაეკისროს, თუ სახეზეა ზიანი და ეს ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ამასთან ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. ამ პირობების ერთობლიობა წარმოადგენს იურიდიულ შემადგენლობა და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამორიცხავს ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებს შესაძლებლობას.[35] ამასთანავე, აუცილებელია მტკიცების ტვირთი. საქმის განხილვისას არაქონებრივი ზიანის დადგომა უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, ხოლო ხელმყოფის მტკიცების ტვირთი მდგომარეობს იმაში, რომ დაამტკიცოს მისი ქმდება ბრალული არ იყო და ზიანი მისი ქმედების შედეგით არ არის გამოწვეული, და თუკი შეძლებს ამის დამტკიცებას, შესაბამისად იგი გათავისუფლდება ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან. მიუხედავად ზემოთქმულისა არსებობს შემთხვევები, როდესაც ზიანის შეიძლება ანაზღაურდეს ბრალის გარეშეც და ეს შემთხვევებია მაგალითდ:„თუ მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებით მიადგა ზიანი სხეულს ან ჯანმრთელობას, სისხლისსამსართლებრივი პასუისგებაში უკანონო მიცემის უკანონო დაკავების ან მის მიმართ ადმინისტრაციული სახდელების უკანონო შეფარდების შედეგად.“[36]

3.2 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზანი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული უფლებებს შორის, უმიშვნელოვანესია ჯანმრთელობის უფლება. ჯანმრთელობა ეს არის, სრულის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღობის

[35] სუსგ საქმე N ას1477-1489-2011 2012 წლის 03 აპრილის განჩინება
[36] მართლმსაჯულება და კანონი N3(51)2016წ. გვ 102

მდგომარეობა, რომელიც აბსოლიტური ხასიათისაა და ამ უფლების შესაბამისად სხვა პირთა მიმართ, მოვალეობის წრმომშობია, თავი შეიკავონ პირის ჯანმრთლობის უფლების დარღვევისაგან. ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ქონებრივი ან არაქონებრივი ხასიათის უარყოფითი შედეგების დადგომას, ლოგიკურად უნდა მოჰყვეს მათი აღდგენა. ამიტომ კანონი აწესებს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩადენილი სამართალდარღვევისათვის და მისგან გამოწვეული შედეგებისთვის.[37]

საბჭოთა სამართალი დაუშვებლად მიიჩნევდა რაიმე ზიაისათვის ფულადი კომპენსაცის გამოყენებას, თუმცა თუ ქართული სამართლის ისტორიაში ღრმად ჩავიხედავთ,[38] აღმოვაჩენთ, რომ მორალური ზიანის ფულადი კომპენაცია სრულიად ბუნებრივი მოვლენა ყოფილა. ფეოდალურ საქართველოში სამართლებრივი ნორმებით დაცული იყო ადამიანის პატივი და ღირსება, იკრძალებოდა ადამიაის როგორც სიტყვიერი ასვე ფიზიკური შეურაცხყოფა, სასჯელის ძირითდ ფორმას კი წარმოადგედა ბოდიშის მოხდა ან ჯარიმის გადახდა.[39]

3.3 ზიანის ანაზღურება და მიყენებული ზიანის განსაზღვრის კრიტრიუმები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი კომპენსაცია , მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებშია შესაძლებელი.[40] აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ საკანონმდებლო წესრიგში მოქცევა, „შესაძლებლობას იძლევა თვი დავიზღვიოთ მისი მოქმედების სფეროს დაუსაბუთებელი

[37] იხ. ნ. ბარბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღურების პრობლემა გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2012 წელი
[38] იხ. ბ.ზოიძე ზიანის ანაზღურება არაქონებრივი ზიანისათის 413 მუხლში სსკ-ის კომენტარები წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი 2001 წელი
[39] იხ. ნ.ბარბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღურების პრობლემა თბილისი 2012 წ.
[40] იხ. ნ. ბარბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზღურების პრობლემა გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2012 წელი

გაფართოებისაგან.“ ასევე 413-ე მუხლი ადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპს „გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. სასამართლო პრაქტიკაში ხშირია მორალური ზიანისთვის ფულადი კომპენსაციის დაკისრებს შემთხვევები, თუმცა რაიმე, საერთო კრიტერიუმი არ გამოკვეთილა. არის შემთხვევები როდესაც დამდგარი შედეგების გამოსწორება შეუქცევადია და რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს მოპასუხეზე დაკისრებული ფულადი კომპენსაცია, შეუძლებელია დაზარალებულის წარსულში დაბრუნება. მორალური ზიანის ოდენობის განაზრვრისასა სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს დაზარალებულის დამოკიდებულება დამდგარია ზიანის სიმძიმის მიმართ, ასევე ობიექტური გარემოებები, რითაც შეიძლება შეფასდეს ხელყოფილი სიკეთის ცხოვრებისეული დანიშნულება.[41]

მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს:

ა) კონკრეტული პირის არამართლზომიერი ქმედების შედეგად ზიანის მიყენება;

ბ) სულიერი და ფიზიკური ტანჯვის ხარისხი და მისი გამოხატვა;

გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის;

დ) მოთხოვნილი ზიანის ოდენობა; [42]

მიუხედავად აღიშნულისა, ტკივილის დ ტანჯვის სიმძიის განსაზღვრა თითქმის წარმოუდგენელია, კონკრეტულ და ზუსტ განმსაზღვრელ კრიტერიუმებს აღნიშნულ საკითხზე მოქმედი კანონმდებლობა არ ადგენს. მორალური ზიანისათვის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა უმეტესად სასამართლოს შეხედულებაზეა დამოკიდებული. კანონი მოსამართლეს აძლევს უფლებას

[41] ის. სამოქალაქოკოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე თბილისი 2001 გვ. 471
[42] მ.ბიჭია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თვისებურება სამოქალაქოპროცესში თბილისი 2017

სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით, შინაგანი რწმენითა და პირადი შეხედულებებით, ასევე არსებული სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით გონივრულად და სამართლიანად გადაწყვტოს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი.[43]

მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის ერთ- ერთ კრიტერიუმს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი. სამოქალაქო სამართალში, ბრალის განსაზღვრისათვის შეიძლება გამოყენებული იქნეს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ბრალის განსაზრვრის კლასიფიკაცია.[44]

სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება შევხვდეთ მაგალითებს, როდესაც მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის დაკისრება მოხდა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახეზე არ იყო ბრალი. ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ზიანი მიადგა მომეტებული საფრთხის წყაროთი. ასეთ შემთხვევაში მომეტებული საფრთის წყაროს მესაკუთრე ვალდებულია აანაზრაუროს ზიანი ბრალის გარეშე, თუკი ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანი მიყენებული იყო დაუძლეველი ძალის ზემოქმედების შედეგად.[45]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასასამართლოს მიერ განხილულია სულხან ჭიჭინაძის საქმე[46], საქართველოს წინააღმდეგ. განმცხადებელი ქონებრივი ზიანისა ანაზღაურებასთან ერთდ ითხოვდა მორალური ზიანის ანაზრაურებას, მიუხედავად იმიმსა რომ მას არ მიუღია ჯანმრთელობის დაზიანება. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას მიადგა სხვადასხვაგვარი მორალური ხასიათის უსიამოვნება და ამ ფაქტის საკომპენსაციოდ ითხოვდა

---

[43] იხ. ნ. ბარბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა გამომცემლობა უნივერსალი თბილისი 2012 წელი

[44] იხ. ნ.ბარბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზრაურების პრობლემა გამომცემლობა უნივერსალი თბილისი 2012 წელი

[45] იქვე

[46] იხ.ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერგამოტანილი განჩინებების რუბული საქართველოს წინააღმდეგ. https://gba.ge/pdf/5fc637491ddeb.pdf/Final%20-%20ECtHR.pdf

მორალური ზიანის ანაზღაურებას. ევროპულმა სასამართლომ საკმარისად მიიჩნია განმცხადებლი არგუმენტები და ნორალური ზიანის მოთხოვნა დააკმაყოფილა ნაწილობრივ, 5000 ევროს ოდენობით.

მოცემული გადაწყვეტილების ანალიზი და არსებული სასამართლო პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ თითოეული ზიანის შემთხვევა ექვემდებარება ინდივილუალურ შეფასებას და შესაბამისად წარმოუდგენელია აღნიშნული საკითხის მიმართ ჩარჩოების დაწესება.

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ოდენოაბასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტება აქვს გაკეთებული თბილისის სააპალაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატას, 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებაში.[47]

დადგენილ ფაქტობრიცვ გარემოებას წაროადგენს, რომ მხარეებს შორის მომხდარი შელაპარაკებისას მოსარჩელემ მიიღო მსუბუქი ჯანმრთელობის დაზიანება, რაც გამოიხატა თვალის დაზიანებაში. მოსარჩელეს სჭირდებოდა სხვადასხვა ძვირადღირებული დიაგნოსტიკური ტესტირებების ჩატარება, სრული დიაგნოზის დასადგენად, ასევე ძვრადღირებული მედიკამენტების შეძენა და მკურნალობა, ამასთან, სრული დიაგნოსტიკის შემდეგ შესაძლებელი იყო გამოკვეთილიყო თვალის როვნის გადანერგვის ოპერაციის საწიროება, რაც დიდი ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მოსარჩელე ითხოვდა როგორც ქონებრივი, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას, რაც გამოწვეული იყო თვალის დაზიანებით. აღნიშნულთან დაკავშირებიტ სასამართლომ განმარტა, რომ არამატერიალური ზიანის კომპენსირება ხება ფულადი სახით, და სამოქალაქო კოდექსი ან სხვა კანონები არ განსაზღვრავენ ზიანის ანაზრაურების ზუსტ წესს, არსებული საერთო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, სასამართლო ითვალისწინებს ზიანის მიყენების ბრალის ხარისხს, რომელიც სამოქალაქო სამართალში

[47] 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება საქმე N2ბ/679-12. http://library.court.ge/judgements/83162015-11-19.pdf

წრმოადგენს პასუხისმგებლობის პირობას და არა ზომას, თუმცა მოცემული შემთხვევის მიმართ სასმართლომ დაუშვა გამონაკლისი და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული ზიანის მიმყენებლის დამოკიდებულება, მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი. ფიზიკური ტანჯვა ივარაუდება მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებაში, მაგრამ მოცემულ შემთხვევასთან მიმართებით, დასაბუთებულად უნდა დამტკიცდეს მიღებული ფიზიკური ტანჯვის ხარიხი. სასამართლოს განმარტებით, უდავოა, რომ მოსარჩელე განიცდის გამუდმებულ ტკივილს, მას ხდება სამედიცინო მანიპულაციების ჩატარება, გარდა ფიზიკური ტკივილისა, მორალურად მტკივნეულია აგრეთვე ის ფაქტი, რომ მხარეები არიან მეზობლები და მათი ურთიერთობა გარდაუვალია. სასაართლომ მოსარჩელის მოთხოვნა, მორალური ზიანის ანაზღაუებათან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა, იმ ფაქტობრივ გარნოებებზე მითითეით, რომ მოპასუხეს მოსარჩელიათის უვე გადახდილი ჰქონდა 9000 დოლარი, მკურნალობის ხარჯები, საქმის მასალებიდან კი გაირკვა, რომ მოსარჩელის მკურნალობის ხარჯები გაცილებით ნაკლები იყო ვიდრე მირებული თანხა.

არაქოებრივი ანუ მორალური ზიანი, ეს არის ფიზიკური და ფზიქოლოგიურ თანჯვა, რომელასც პირი განიცდის არამატერიალური სიკეთის ხელყოფის გამო. არამატერიალური ზიანზე საუბრსას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საზოგადოების მორალური სტანდარტები. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს არ შეადგენს ხელყოფილი უფლებების აღდგენა, რადგან იყენებულ მორლურ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია და ამდენად შეუძლებეია მისი სრულად კომპენსირება. ამავდროულად რამდენად დიდიც არ უნდა იყოს მიღებული კომპენაცია, იგი ვერ აღადგენს დაზარალებულის ხელყოფამდე არსბულ სულირ მდგომარეობას. დაზარალებულისთვის კომპენსაციი გაცემს მიზანია

მოსარჩელის საზოგადოების თვალში გამართლება და მიყენებული ტკივილისგან გამოწვეული უარყოფითი ემოციების გაქარწყლება.

IV არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ზოგადი სამართლებრივი საფუძვლები

4.1 სამოქალაქო კოდექსის 413-ე, 999-ე და 1000-ე მუხლები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი კომპენსაცია შესაძლებელია მოთხოვნილი იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად დადგენილი შემთხვევებში, მხოლოდ გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. შესაბამისად ამ კანონის მიზანია, შეავიწროვოს ამ ნორმით განსაზღვრული შედეგების დაუსაბუთებელი გაფართოება. ამდენად, თუ ნორმაში მითითებულია მხოლოდ „ზიანის ანაზღაურების" და არა უშუალოდ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობის თაობაზე[48], იგულისხმება, რომ არაქონებრივი სიკეთის შელახვა, პირს აძლევს მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.[49]

კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას მხოლოდ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთეების (პატივი ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ჯანმრთელობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვ.) ხელყოფისა და არაქონებრივი ზიანის არსებობის დროს მისი ანაზღაურების შესაძლებლობას.[50]

აღნიშნული ნორმა იმპერატიული ხასიათის მატარებელია, რადგან მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობა არსებობს მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთვევებში. მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დროს, ერთდროულად უნდა არებობოდეს არაქონებრივი ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზეშედეგობრივი კავშირი (ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის) და ბრალი.

---

[48] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 17

[49] იხ. შ. ჩიკვაშვილი პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის თბილისი 2003

[50] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 18

ზიანი ანაზღურდება მხოლოდ ისეთ შემთვევებში, როცა პირმა მიიღო სხეულის დაზიანება, რამაც გამოიწვია მძიმე შოკი. წმინდა ფსიქოლოგიური ტანჯვა, რომელიც არ არის გამოწვული სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანების პირდაპირი შედეგი, არ ანაზღაურდება.[51]

ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, აუცილებლად უნდა იქნეს საკითხი განხილული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე და 1000-ე მუხლებს ჭრილში, აღნიშნული მუხლები ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანს ანაზღაურებას და ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამწვეული ჯანმრთელობის ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.[52]

გ.მ-ძემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ-ის მიმართ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული მორალური და ქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. საგამოზიებო მასალებით დადგენილი ფაქტია, რომ 2003 წლი 24 იანვარს, მოსარჩელეს დაეჯახა მანქანა და მიიღო სხეულის მრავლობითი დაზიანებები, რის გამოც მას დაუდგინდა პირველი ჯგუფის ინვალიდობა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელის დაზიანებები მისი ბრალეულობით არ იყო მიყენებული. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც გასაჩივრებული იქნა მოსარჩელის მხრიდან სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საჩივარი არ დაკამყოფილდა და გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება გ.მ-ძემ გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს საჩივარი და

---

[51] მ.ბიჭია, პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან სამართლის ჟურნალი N1, 2017 წ. გვ 19.

[52] იხ. შ ჩიკვაშილი, საამოქალაქოკოდექსის კომენტარები წიგნი მე- 4, ტომი 2, თბილისი 2001,

საქმე განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, რადგან საქმის განხილვისსა აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა სასამართლომ არასრულად გამოიკვლია ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლების გადაწყვეტილების მიღებაზე ახდენს ზეგავლენას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის თანახმად მგზავრბის გადაყვანისათვის ან ტვირთების გადაზიდვისათვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალბის მფლობელი, ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს ზიანი, თუ ავტოსაგზაო შემთხვევას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ვერ დადგინდა მოპასუხის ბრალეული ქმედება, შესაბამისად ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ერთერტი მთვარი პირობა, ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალეული ხასიათი თითქოსდა არ დგინდება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების დაკისრების წინაპირობა - პირის ბრალეული ქმედების არსებობა კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელი არ არის.

4.2 მორალური ზიანის არსებობა

სხეულის დაზიანებას და ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებას ძირითადად ქონებრივი ზიანი მოსდევს, თუმცა სხეულის დაზიანებამ ან ჯანმრთელობის მოშლამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ხასიათის მორალური ზიანი, რადგან მორალური ზიანი თავის თავში მოიაზრებს „ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, უმეტესად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.[53]

სამოქალაქო სამართალში, ზიანის ცნებაში მოიაზრება კანონით დაცული სიკეთეების ყოვეგვარი ხელყოფა. ზიანი - ეს არის პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სიკეთზე უხეში ჩარევით გამოწვეული

[53] იხ. ბ. ზოიძე ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის 413 მუხლში სსკ-ის კომენტარები წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი 2001 წელი

უარყოფითი შედეგები. „მორალი მოიცავს ადამიანის ზნეობრივ შეხედულებებს და გრძნობებს, ცხოვრებისეულ ორიენტაცის და პრინციპებს, ქცევებსა და ურთიერთობების მიზანს და მოტივს, ზღვარს ავლებს სიკეთესა და ბოროტებას, ღირსებასა და უღირსობას, სამართლიანობას და უსამართლობა, სინდისიერებას და უსინდისობას, გულმოწყალებასა და სისიტიკეს შორის.“ ამდენად მორალური ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთეებისა და ინტერესების ხელყოფას, მისი ნებისა ან/და კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ხელყოფას. მორალი-ეს არის ეთიკური ფასეულობების სფერო, რომელსაც აღიარებს თითოეული სრულწლოვანი და ქმედუნარიანი ადამიანი. [54]

საქალაქო სასამართლოს განმარტებით სსკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე, ტერმინი „მორალური ზიანი“ სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც ქონებრივ დანახარჯებთან ერთად, შეიძლება არამატერიალური უფლებების ხელყოფა – ფსიქიკური ტანჯვა (მორალური ზიანი) გამოიწვიოს. ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების არსებობას, რაც გამოიხატება ფიზიკურ და სულიერ ტანჯვაში, გარეგნული გამოხატულება არ გააჩნია და შესაბამისად, არამატერიალიზებული ზიანია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანის დეფინიციას არ შეიცავს, რაც თავისთავად სასამართლო პრაქტიკის პრობლემას წარმოადგენს, მთავარი ის არის, რომ კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას. [55]

---

[54] იხ. ნ. ბარბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა თბილისი 2012წ.

[55] იხ. ბ. ზოძე ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის 413 მუხლში სსკ-ის კომენტარები წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი 2001 წელი

სხეულის დაზიანებას და ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებას ძირითადად ქონებრივი ზიანი მოსდევს, თუმცა სხეულის დაზიანებამ ან ჯანმრთელობის მოშლამ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა ხასიათის მორალური ზიანი, რადგან მორალური ზიანი თავის თავში მოიაზრებს „ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, უმეტესად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.[56]

სამოქალაქო სამართალში, ზიანის ცნებაში მოიაზრება კანონით დაცული სიკეთეების ყოვეგვარი ხელყოფა. ზიანი - ეს არის პირის ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სიკეთზე უხეში ჩარევით გამოწვეული უარყოფითი შედეგები. ამდენად მორალური ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთეებისა და ინტერესების ხელყოფას, მისი ნებისა ან/და კანონსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ხელყოფას. მორალი-ეს არის ეთიკური ფასეულობების სფერო, რომელსაც აღიარებს თითოეული სრულწლოვანი და ქმედუნარიანი ადამიანი. [57]

მორალური ზიანი, ეს არის ეკონომიური თვალსაზრისით გაუზომადი ზიანი, და ამ ზიანში მოიაზრება სხვისი არამატერიალური სიკეთეების და არაქონებრივი უფლებების ხელყოფა, რომელიც მაპროვოცირებელია ფიზიკური ან სულიერი ტრამვისა,[58] რომელსაც არ გააჩნია ზუსტი ფულადი შეფასება. ამ ტრამვის შედეგად შეიძლება გამოწვეულ იქნას ფსიქიკური ტანჯვა, პიროვნების მორალური ნეგატიური ცვლილებები. როგორც საქართველოს, ასევე წამყვანი ქვეყნების კანონმდებლობა მორალურ ზიანს განსაზღვრებისას იყენებს ტერმინს- ტანჯვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მორალური ზიანის არსებობისათვის აუცილებელია ზიანის მიმყენებლის ქმედება იწვევდეს ტანჯვას დაზარალებიულის შეგნებაში და გამოწვეული იქნას ფსიქიკური რეაქცია. კვლევამ ცხადყო, რომ ცნება „ფიზიკური ზიანი“ და

---

[56] იხ. ბ. ზოიძე ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის 413 მუხლში სსკ-ის კომენტარები წიგნი მესამე, გამომცემლობა სამართალი 2001 წელი

[57] იხ. ნ. ბარბაძე, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა თბილისი 2012წ.

[58] იხ. მ.ბიჭია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქოპროცესში თბილისი 2017 წ.

„ფიზიკური ტანჯვა“ თავის შინაარსით ერთმანეთისგან განსხვავდებიან ფიზიკური ტანჯვა თავის არსში მოიცავს ცნებას-„მორალური ზიანი, თუმცა მორალური ზიანი თვის მხრივ, ფიზიკურ ტანჯვასთან ერთად მოიცავს ფსიქიკურ ტანჯვასაც.[59]

პირის არაქონებრივი ხასიათის უფლებები წარმოადგენენ სუბიექტურ უფლებას, რომლებიც წარმოიშვებიან არამატერიალური სიკეთეებთან დაკავშირებით, მოკლებულნი არიან მატერიალურ ხასიათს და უზრუნველყოფენ პირის ინდივიდულურობის გამოვლენასა და განვითარებას. ამასთან, არსანიშნავია რომ შეუძლებელია არამატერიალური უფლების ზუსტი შეფასება ფულად ეკვივალენტში.

არსებობს პირადი არამატერიალური უფლებების კლასიფიკაციის რამდენიმე საფეხური და მათგან პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან არაქონებრივი უფლებები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის სიცოცხლეს და პიროვნულ ხელშეუხებლობას.[60]

პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა იწვევს როგორც მატერიალურ, ასევე მორალურ ზიანსაც. შესაძლებელია რომ მორალური სიკეთის ხელყოფამ გამოიწვიოს მატერიალური ზიანი ან პირიქით, მატერიალური სიკეთის ხელყოფით იქნეს გამოწვეული მორალური ზიანის დადგომა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, სხეულის დაზიანებით მიყენებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ფსიქიკური ტანჯვა, პიროვნულობის ნეგატიური ცვლილებები, ქონებრივი ზიანი კი გულისხმობს ამ ცვლილებების შედეგად მიყენებული სეულის ნაკლის კორექცია ან ჯანმრთლობის მკურნლობასთან დაკავშირებული, ასევე შემოსავლის დაკარგვას, მიყენებული ზიანის შედეგად.[61]

ეტიმოლოგიურად მორალური ზიანი არაქონებრივი ზიანის იდენტურია. ტერმინი - მორალური ზიანი უფრო მისი შინაარსობრივი დატვირთვის

---

[59] იხ. შ. ჩიკვაშვილი პაუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის თბილისი 2003

[60] იხ. შ. ჩიკვაშვილი პაუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის თბილისი 2003

[61] იხ. შ. ჩივაშვილი პაუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის თბილისი 2003

მატარებელია, ასევე იდენტურია „ფსიქოლოგიური ზიანი“ და ყველა შემთხვევაში მათი შინაარი ერთნაირია.[62]

ამდენად, სხეულის დაზიანება, მისი ანაზღაურების მიზნით, არის მორალური ზიანი. მორალურ ზიანი შეიძლება უკავშირდებოდეს არა მხოლოდ არაქონებრივი სიკეთის ხელყოფით გამოწვეულ ზიანს, არამედ ქონებრივი სიკეთეების ხელყოფასაც, მაგალიტად ეს შეიძლება იყოს ფასეული ნივთების დაკარგვა-განადგურებით გამოწვეული განუზომელი განცდები, რომლებიც დიდ სულიერ ტკივილს აყენებს ადამიანს.[63]

აღსანიშნავია არაქონებრივი ზიანის სპეციფიკური ხასიათი, რის გამოც ის განიხილება სხვადასხვა ჭრილიში, თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით ყურადღება ეთმობა - მორალურ ზიანს, როგორც იურიდიულ კატეგორიას, ამ გაგებით კი, არამატერიალური ზიანი ეს არის კონკრეტული დელიქტის შედეგად დამდგარი ზიანი, სხვისი სიკეთის არამართლზომიერი მოპყრობის შედეგად დამდგარი არასახარბიელო შედეგი,[64] ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მორალური ზიანის, ეს არის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად, კანონით დაცული სიკეთეების ხელყოფის შედეგად პირისათვის მიყენებული სულიერი ტანჯვა.[65]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისი 1000-ე მუხლით განსაზღვრულია შეთხვევეი, ამა უ იმ ნაგებობიდან გამომდინარეობს მომეტებული საფრთხე, ამ ნაგებობაშო წარმოებული, მოწიდებული ან მოთავსებული ენერგიისგან ანდა ხანძარსაშიშიან აფეთქებასაშიში ან და მომწამვლელი ნნივთიერებისგან, მაშინ ამ ნაგებობის მფლობელი ვალდებულია, თუ ამ საფრთხის პრაქტიკულ განხორციელებას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება,ნ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანი. როგორც კანონმდებლობასი, ისე იურიდიულ ლიტერტურაში მოხსენიებულია

---

[62] იხ. ნ. ბარაბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა თბილისი 2012

[63] იხ. შ. ჩივაშვილი პაუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის თბილისი 2003

[64] იხ მ.ბიჭია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თვისებურება სამოქალაქო პროცესში თბილისი 2017

[65] იხ. ნ. ბარაბაძე მორალური ზიანის დმისი ანაზღურების პრობლემა, თბილისი 2012წ

„მომეტებული საფრთხის წყარო“, რომელშიც იგულისხმება ისეთი ობიექტების გამოყენება, რომელიც თანამედროვე ტექნიკის განვითარების მოცემულ ეტაპზე სრულად არ ექვემდებარება კონტროლს, მისი მახასიათებელი თვისებებიდან გამომდინარე. კერძოდ კი, კანონი მიუთითებს მომტებულ საფრთხეზე, რომელიც გამომდინარეობს ნაგებობიდან ან ამ ნივთიდან. [66] აღნიშნული ნორმის გავრცელების თვალსაჩინოებისთვის განვიხილავ დელიქტური ქმედებითმიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სამოქალაქო საქმეს.

თბილისში, ერთ - ერთ ქუჩაზე, ელექტროქვესადგურში, მაღალი ძაბვის ელექტროდენის დარტყმის შედეგად, არასრულწლოვანმა მიიღო ელექტროთერმული ტრამვა, სხეულის მძიმე ხარისხის დამწვრობა. აღიშნული ფაქტის შედეგად შედეგად, დაზარალებულს დასჭირდა ორივე ხელის ამპუტირება და მან დაკარგა შრომისუნარინობა 2/3-ზე მეტი ნიშნით.

დაზარალებულმა გაიღო მკურნალობის ხარჯები, გარდა ამისა იგი საჭიროებდა სამომავლო მკურნალობას, პროთეზირებას. დაზარალებულმა განიცადა ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული სულიერი ტანჯვა. არასრულლოვნს დზიანების დროისათვის, ელექტროქვესადგურის დამცავი ნაგებობა ჩამოქცეული იყო და ტრანსფორმატორი დამცავი ნაგებობის გარეშე, ღია სივრცეში იყო განთავსებული.

დაზარალებულმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დელიქტით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. მოთხოვნილ თანხაში შედიოდა მკურნალობის, ასევე პროთეზის, ასევე საზღვარგარეთ გადაადგილების თანხები. დაზარალებულის სრულწლოვანების მიღწევის დღიდან, განვლილი პერიოდის ყოველთვიური ულუფის ღირებულება, ასევე კლინიკიდან გამოწერის დღიდან სადღეღამისო მომვლელის დასაქირვებელი თანხა. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მოზარდია და პროთეზი ინდივიდუალურ მორგებას

[66] სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

საჭიროებს და დროთა განმავლობაში აუცილებელია მისი შეცვლა, აღნიშნული ფაქტობრიბო გარემოება მოპასუხეების მიმართ წარმოშობს გარკვეული პერიოდულობით პროთეზის აღდგენის ან შეცვლის ვალდებულებას. ასევე მოსარჩელის სასარგებლოდ სიცოცხლის განმავლობაში სამისდღემშიო რჩენის და ოჯახის გარეთ სადღეღამისო მომვლელის დასაქირავებელი თანხის ყოველთვიური გადახდას.

სარჩელით მოთხოვნილი იყო არამატერიალური ზიანის ანაზღაურება 2000000 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს. პირველმა მოპასუხემ განმარტა, რომ მას ბრალი არ მიუძღოდა დამდგარ ზინში, მეორე მოპასუხის განმარტებით ის არ იყო სათანადო მოპასუხე ხოლო მესამე მოპასუხემ განმარტა, რომ ელექტროქვესადგური არ იყო სახელმწიფო დაქვემდებარებაში, შესაბამისად სამინისტრო ვერ იქნებოდა მოპასუხე.

თბილისის საქალაქო სასმართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ქონებრივ ზიანთან ერთად მოპასუხეს დააკისრა არამატერიალური ზიანის ანაზღაურება 100000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ აღნიშნული თანხის დაკისრებასთან მიმართებით გააკეთა განმარტება, რომ არაქონებრივი ზიანინს ანაზღაურების უმთვრესი მიზანია ხელყოფილი უფლებების რესტიტუცია და რომ მოცემულ შემთხვევაში მიყენებულ მორალურ ზიანის ზუსტი ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია, ზიანის შედეგად მიღებული შედეგების გამოსწორება შეუქცევადი მოვლენაა და როგორიც არ უნდა იყოს კომპენსაცია, იგი ვერ აღადგენ დაზარალებულს პირვენდელ მდგომარეობას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ პირველი მოპასუხე მართლსაწინააღმდეგო გაუფრთხილებელმა ქმედებამ გამოიწვია მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება, ქმედება გამოიხატა წინდაუხედაობისა და უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფით. რადგან პირველი მოპასუხე მონოპოლისტია თბილისში ელექტრო ენერგიის

მიწოდების ბაზარზე, მას ევალებოდა ასევე უსაფრთხოების ნორმების დაცვა. სასამართლომ მიიჩნია რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, შესაბამისად მოპასუხე ვალდებულია აანაზღაუროს დამდგარი ზიანი.

საქალაქო სასამართლომ, მორალურ ზიანთან მიმართებში განმარტა, რომმორალური ზიანი სულიერი გრძნობებისა და ურთიერთობების სფეროში მიყენებულ ზიანს გულისხმობს. პირის ჯანმრთელობის დაზიანებით მიღებული არასასურველი შედეგი ნეგატიურ ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში, რამაც მატერიალურ ზიანთან ერტად გამოიწვია ფსიქიკური ტანჯვა.

მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულს ამპუტირებული ჰქონდა ორი კიდური და უდავოა ის განიცდიდა თავის ფიზიკურ მდგომარეობას. სასამრთლომ განმარტებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღურება ვერ აღადგენს დაზარალებულის ხელყოფამდე მდგომარეობას, შესაბამისად დაკისრებული ზიანი მხოლოდ სულიერ ტკივილს შეუმსუბუქებს მას. 1000-ე მუხლზე მიუთითა სასამართლომ და განმარტა, რომ მოსრჩელეს ზიანი მიადგა არა მხოლოდ მომეტებული საფრთხის გამო, არამედ, მოპასუხის გაუფრთხილებელი ქმედებითაც.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც მოსარჩელე, ასევე მპასუხე მხარემაც.

მოპასუხემ , მეორერე აპელანტმა მოითხოვა დაკმაყოფილებული სარჩელის უარყოფა, და მოსარჩელის ოთხოვნის დაკამყოფილბაზე უაროს თქმა შემდეგი დასაბუთებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებიტ დაგენილია, რომ პირველი მპასუხე კონკრეტულ აბონენტს აწვდიდა ელექტრო ენერგიას, სადაო სატრანსფორმატორო ქვესადგურის გავლით. აღნიშნულ ქვესადგულს ელექტრენერგია მიეწოდებოდა კერძო საკუთრებაში არსებული სატრანსფორმატორო ქვესადგურით და ენერგიით ამარაგებდა მოაპსუხის აბონენტის კუთვნილ ქვესდგურს. პირველი საწარმოოს საკუთრებაში

არსებული ელექტრომეურნეობის საზღვრები მთავრდება ფონიჭალაში და ამ ფიდერს მიღმა ქსელი მთლიანად კერძო სამართლის იურიდიულ პირების საკუთრებში იყო. მოპასუხეს კი არცერთი ნრმტიული აქტით არ ეკისრება პასუხისმგებლობა სხვა პირების კერძო საკუთრებაში არსებული ელექტრო მეურნეობის მოვლა -პატრონბასა და მისი ექსპლუატაციის წესების დაცვაზე.

სასამართლოს მიერ არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარენოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის დაზიანება გამოწვეული იყო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო და გაუფრთხიელებელი ქმედებით. ინფორმაცია იმის შესახებ რომ სადაო ქვესადგული იყო ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში,მოპასუხეს არ ჰქონია. მოპასუხის აბონენტს ნება დაერთო მიერტებულიყო სადავო ქვესადგურზე და მასვე დაეკისრა პასუხისმგებლობა ამ ვესადგურიდან გამომავალ მაღალი ძაბვის კაბელის და ელექტრო მეურნეობის მოვლა პატრონობაზე. მოპასუხემ შესაგებელში მიუთითა თუ ვის ევალებოდა ელექტრო მეურნეობის გამართულ ფუნქციონირებაზე და მოვლა- პატრონობაზე პასუხისმგებლობა. პპირველ რიგში ეს იყო მესაკუთრე.

სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ დაკმაყოფილა ორივე აპელანტის სააპელაციო საჩივარი და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოს, აღნიშნული განჩინებაზე სკასაციო საჩივარი წარადგინა მოსარჩელემ.საკასაციო სასამართლომ საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მნინშვნელოვანია არა სადავო ელექტროქვეადგურის მფლობელის ვინაობის დადგენა, არამედ იმის გარკვევა, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ზიანზე, როდესაც არ იკვეთება მომეტებული საფრთხი წყაროს მესაკუთრე, ან მას არ აქვ აღნიშნული ქონების დაცვისა და შენახვის ინტერესი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ 1000-ე მუხლის განმარტებისათვის, მნიშვნელობა არ ენიჭება მფლობელობა მართლზომიერია თუ არამართლზომიერი, აღნიშნული

ნორმის გამოყენებისას მიშვნელოვანია თუ ვინ ახორციელებს ფაქტობრივ მფლობელობას მომეტებული საფრთხის წყაროზე.

მოცემულ საქმესთან მიმართებითაც, მნიშვნელოვანი იყო მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილება სწორად მომხდარიყო, მიუხედავად იმის, რომ ნოპასუხე სააპელაციო საჩივარში უთითებდა, რომ იგი არ იყო ქვესადგურის მფლობელი, ასეთ შემთხვევაშიც იგი ვრ განთავისუფლდბოდა პაუხისმგებლობისაგან, სსკ-ის 1000-ე მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, რომელიც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას ადგენს.[67]

4.3 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურებას, პირის არაქონებრივი უფლებების დარღვევისატვის, თუმცა არ შეიცავს მის ცნებას. მორალური ზიანის ცნებასთნ დაკავშირებით მომუშავე ყველა მეცნიერს გამოთქმული აქვს მოსაზრება და მათ ძირითად ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის განმარტება. ფილოსოფიაში მორალური ზიანი განმარტებულია, როგორც სუბიექტისათვი მიყენებული, მის მიერ გაცნობიერებული ბოროტება.[68]
როგორც წესი, ქონებრივი ზიანის განმარტებისას სირთულე არ წარმოიშობა და ყველა ავტორი ერთხმად აღნიშნავს, რომ სამართალდარღვევის უარყოფითი შედეგი, რომელიც შეიძლება შეფასდეს ფულად ექვივალენტში, წარმოადგენს ქონებრივ ზიანს. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ფიზიკური ზიანი და ფიზიკური ტანჯვის ცნება, ფიზიკური ტანჯვა მორალური ზიანის ერთ-ერთი სახეა, მაშინ როცა ფიზიკური ზიანი წარმოადგენს ორგანიზმში ნეგატიურ ცვლილებას, რაც ხელს უშლის მის

[67] სუსგ 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Nას--543-518-2016
[68] იხ. ნ. ბარბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა თბილისი 2012 წ.

ნორმალურ ბიოლოგიურ ფუნქციონირებას. ფიზიკური ზიანი ერთდროულად არის მატერიალური და არაქონებრივიც. ნეგატიურმა ქმედებებმა შესაძლოა გამოიწიოს პიროვნების ფსიქიკური ჯნმრთლობის და ქონებრივი კეთილდღეობის უარყოფით ცვლილებამდე. გამომდინარე არნიშნულიადნ, ფიზიკური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს ქონებრივი და მორალური კომპენსირების გზით, ეს კი წარმოქმნის მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის აუცილებლობას, ასეთი გამიჯვნის მთავარ სირთულედ მიიჩნევა ანაზღაურების ფორმის ერთიანობა.

მორალური ზიანის მიყენებისათვის ზიანის ანაზღაურების უფლების წარმოშობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რაც ნიშნავს წინააღმდეგობის არსებობას ზიანის მიმყენებლის ქცევასა და მოქმედი სამართლის ნორმებს შორის. აღნიშნულმ აქმედებამ უნდა გამოიწვიოს მეორე მხარის ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთეების და კანონიერი ინტერესების დარღვევა.[69]

ზოგ შემთხვევაში, პირმა შეიძლება იმოქმედოს არა თავისი, არამედ სხვისი ინტერესებიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღურება დაეკისრება მესამე პირს, რომლის ინტერესების გამოც მოქმედებდა ზიანის მიყენებელი. ზიანის მიყენების აუცილებლობა შესაძლებელია დაკავსირებული იყოს ეპიდემისათან ბრძოლას ან სხვა ვითარებით გამოწვეულ საგანგებო მდგომარეობას. ორივე შემთხვევაში ზიანის მიყენება მართლზომიერია და ზიანის მიყენების უფლებამოსილება არსებობს. სწორედ ეს უფლებამოსილება არის დამცავი, რომელიც საბოლოოდ დამდგარი ზიანისთვის დაწესებული პასუხისმგებლობის ზოგადი წესისაგან განსხვავებით მთლიანად ათავისუფლებს ზიანის მიმყენებელ პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.[70]

---

[69] იხ. ნ. ბარბაძე, მორალური ზიანი და ისი ანაზღაურების პრობლემა გამოქვეყნებულია უნივერსალი, თბილისი 2012 წელი

[70] მართლსაჯულება და კანონი N3(51)2016წ. გვ 101

ქართულ სამართალში, დელიქტური ზიანი მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 992 მუხლი, აღნიშნული ნორმის თანახმად, ოთხი ძირითადი პირობაა სავალდებულო დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ესენია ზიანი, მართლსაწინააღმდეო ქმედება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებლის ბრალი.[71] თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ არ არსებობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ზიანი გამოწვეული უნად იქნეს მრთლაწინააღმდეგონ და ბარლეული ქმედებით, ნისნავს იმას რომ ზიანი- მიყენებული ნართლზომიერი მოქმედებით, არ ანაზღაურდება. ზიანის ანაზრაურების ვალდებულება შეიძლება გამოიწვიოს დანაშაულმა ან ადმინისტრაციულმა გადაცდომამ, თუ მათ ვინმესათვის ზიანის მიყენებე მოჰყვა. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დგება, როდესაც ჩადენილია დანაშული დ მაშინაც, როდესაც ქმედება დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.[72]

[71] იხ. ზ ძლიერიშვილი, სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება
[72] იხ. შ. ჩიკვაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მე-4, ნაწილი 2 თბილისი 2001

V. არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საქმის წარმოება

5.1 საქმის წარმოების დაწყება, მისი საფუძვლები და საგანი

ვინაიდან, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წესი წარმოიშობა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობიდან, არამატერიალური ზიანის შესახებ დავა უწყებრივად განსახილველად ექვემდებარება სასამართლოს. მორალური ზიანის ანაზღაურების საქმეზე, საქმე ეხება სასარჩელო წარმოებას, ამიტომ საქმე უნდა აღიძრას სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. სარჩელის შეტანისას უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია სათანადო მხარის განსაზღვრა. „სათანადო მხარედ ითვლება პირი, ვინც უნდა იყოს უშუალოდ მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, რომელსაც აქვს შესაბამისი მოთხოვნის უფლება თუ ვალდებულების შესრულების მოვალეობა“[73]

შესაბამისად ზემოთქმულისა, სარჩელის შემტანი არის პირი, რომელსაც მიადგა ზნეობრივი ან სულიერი ზიანი, ხოლო - მოპასუხე მხარეს წარმოადგენს პირი, რომლის მოქმედებით (უმოქმედობით) იყო გამოწვეული სულიერი ან მორალური ტანჯვა, რომელისაც განიცდის მოსარჩელე. განსაკუთრებულ სპეციფიკას უკავშირდება მოპასუხის განსაზღვრა ამ საქმეზე, „ვინაიდან ამის დადგენა შეიძლება უშუალოდ იმ სამართლებრივი ურთიერთობების ხასიათის მიხედვით, რომელთა საფუძველზეც მოიყენებულია არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა“, მაგალითად ჯანმრთელობის ხელყოფისათვის პასუხისგებაში უნდა მიეცეს პირი, რომელიც მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობის და მორალური კეთილდღეობის ხელყოფისაკენ.[74]

---

[73] იხ.მ. ბიჭია მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქოპროცესში თბ.2017 გვ.58

[74] იხ. მ ბიჭია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეებისა განილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქოპროცესში თბილისი გვ.62

თუ პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფა, ვინმეს ბრალეული ქმედების შეედეგია, ფიზიკურ პირს უფლება აქვს მოითხოვოს როგორც ქონებრივი, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურება, ან ზარალის და მორალური ზიანის ერთობლივი მოთხოვნა.[75]

იმისათვის რომ განისაზღვროს, მორალური ზიანის საქმისწარმოების დროს მოპასუხეზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი, აუცილებელი წინაპირობაა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეებზე, მტკიცების ტვირთის თავისებურება - ზიანის მიმყენებლის ბრალის პრეზუმფცია. „სამოქალაქო კოდექსიდან გამომდინარე, ზიანის მიმყენებელი პირი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურებისგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანი მისი ბრალეულობით არ არის მიყენებული.“ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მოპასუხე ვალდებულია დაამტკიცოს თავისი ბრალის არარსებობა. [76]

სარჩელის და შესაგებლის თითოეული ფაქტობრივი გარემოებები, რომელიც წარმოადგენს ბრალის უარყოფას ან მტკიცებას, გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი მტკიცებულებებით, მორალური ზიანის ანაზრაურების საქმეებზე, შეიძლება გამოყენებული იქნეს 102-ე მუხლით გათვალისწინებული მტკიცების ყველა საშუალება „ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტანტაციის მასალებით, ერილობით თუ ნივთიერი მტკიცებულებათ და ექსპერტიზის დასკვნით“[77], წერილობით მტკიცებულებებს, მხარე წარუდგენს სასამართლოს, საქმის განხილვის მომსამზადებელ ეტაპზე. იმ მტკიცებულებების გამოთხოვას, რომლის მიღებაზეც უარი ეთქვა პროცესის მონაწილე მხარეს, უზრუნველყოფს სასამართლო, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.

---

[75] იხ. თ. ნინიძე ზიანის პირადი არაქონებრივი უფლებები 18-ე მუხლში სსკ-ის კომენტარები წიგნი პირველი, გამომცემლობა სამართალი 2002 წელი
[76] იხ. მ.თოდუა, შ.ქურდაძე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი თბილისი 2005 გვ.75
[77] იხ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

მიუხედავად ზემოთქმულისა, არის შემთხვევები, როდესაც მოსარჩელის განმარტებები იმის თობაზე, რომ მან განიცადა ფიზიკური ან ზნეობრივი ტანჯვა, მიყენებული ზიანის ერთდერთი მტკიცებულებაა, გამომდინრე იქიდან რომ დაზარალებული ყოველთვის როდი მიმართავს ექიმს დასახმარებლად, ზოგჯერ თვად მკურნალობს ფიზიკურ და სულიერ ტკივილებს და მხოლოდ მეგობრებს და ნათესავეს მიმრთავს მხარდასაჭერად. რაც შეეხება მოპასუხე მხარეს- უმეტეს შემთხვევაში არ აქვს საშუალება სასამართლოს საქმის განხილვისას წარუდგინოს ტანჯვის არარსებობოის პირდაპირი მტკიცებულება, დამდგარი ზიანის სპეციფიკური სახის გათვალისწინებით. ზოგჯერ მიყენებული ზიანი მხოლოდ დაზარალებულის ცნობიერებაში აისახება.[78]

თუ დაზარალებული 413-ე მუხლის მეორე ნაწილზე დაყრდნობით მოითხოვს ჯანმრთელობისთვის მიყენებული არამატერიალური ზიანისანაზრაურებას, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ შემოწმებული უნდა იქნეს სსკ-ის 999-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული გამომრიცხავი გარემოებები.[79]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის გადანაწილებისს პრინციპსა და მნიშვნელობაზე მივითითებს სამოქალაქო საპროცეოს კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თნახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მმოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.[80] აღნიშნული ნორმის ანალიზი იძლევა ერთპიროვნულ დასკვნას, რომ მხარის მიერ სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერებაუნდა დამტკიცდეს, დარღვეული უფლების დაცვა და

[78] იხ. ნ. ბარბაძე მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა გამოქვეყნებულია „უნივერსალი“ თბილისი 202 წელი
[79] იხ. მ. თოდუა კერძოსამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნიშვნელობა, თსუ სასამართლოს მიმოხილვა N1 თბილისი 2016 წ.
[80] საქართველოს სამოქალაქოსაპროცესოკოდექსი

აღდგენა მხარეს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია. ფაქტები, რომელიც სადავოა დამტკიცებას საჭიროებს და მტკიცების ტვირთი ფაქტეის მიმთითებელ მხარეს ეკისრება. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ ფაქქტის მტკიცების ტვირთი ნორმით განსხვავებულადაა მოწესრიგრბული. მტკიცების ტვირთის განაწილებას არა მხოლოდ საპროცესო-სამართლებრივი დატვირთვა აქვს, არამედ მატერიალურ-*სამრთლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, რადგან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვანი შესრრულებას შედეგად მოყვება ამავე მხარისთვის უარყოფითი და არასასურველი შედეგები. აქვე გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სამქალაქო კოდექსის 206-ე მუხლის დანაწესი, რომლის მიხედვითაცზემოთ აღწერილი ვალდებულებები კანონით გათვალისწინებული ეტაპზე უნდა შესრულდეს ამ მოქმედებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა ართმევს მხარეს უფლებას სამართალწარმებს შემდეგ ეტაპზე შეასრულოს ასეთი მოქმედება.[81]

სასამართლოში სარჩელის შეტანისას, უპირველეს ყოვლისა სასამართლომ უნდა შეამოწმოს დავის უწყებრივი ქვემდებარეობის და განსჯადობის საკითხები, ხოლო შემდგომ უნდა შეუდგესისეთი საკითების შესწავლას, როგორიცაა სარჩელის გამართულობა და მისი დასაშვებობა.[82]

უმთავრესია მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ სასამართლოში წარდგენილი წერილობოთი პოზიციის ანალიზი და შეჯიბრების სტადია. ამ დროს მოსამართლე გულდასმით ამოწმებს აღძრულია თუ არა სარჩელის პირის მიმართ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე. ასევე რამდენად მკაფიოდ აქვს მოსარჩელე ს ჩამოყალიბებული მოთხოვნა და უთითებს თუ არა ისბ ყველა იმ გარემოებაზე და წინაპირობაზე, რომელიც საფუძველი გხდება მოსარჩელისათვის სასურველი შედეგის დასადგომად. რა სახის

[81] სუსგ 2012 წლის 3 აპრილის განჩინება საქმე Nას-1477-1489-2011

[82] იხ. მ. თოდუა კერძოსამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნისვნელობა, თსუ სასამართლის მიმოხილვა N1 თბილისი 2016 წ.

შესაგებელია წარმოდგენილი მოპასუხის მხრიდან და არის თუ არა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებსაც ეყრდნობიან მხარები. [83]

5.1.1 სასამართლო გადაწყვეტილება

მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ძირითად ნაწილს წარმოადგენს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, სწორედ სამოტივაციო ნაწილშია მხარეთ მიერ წარდგენილი მტკიცებულებათა ანალიზი და სასამართლოს მიერ მათი შეფასება. მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრულ სამოქალაქო საქმეებზე დიდ ინტერესს იწვევს, მიყენებული ტანჯვის და კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა.

სასამართლოს მსჯელობის შედეგი და მიღებული გადაწყვეტილების შედეგი, სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, აისახება გადაწყვეტიების სარეზოლუციო ნაწილში. თუ მორალური ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, მხარე უთითებს სხვა სასარჩელო მოთოვნებსაც, ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილებაში ნამსჯელი უნდა იყოს ყველა მოთხოვნაზე და შესაბამისად სარეზოლუციო ნაწილში ასახული უნდა იყოს ამ მოთხოვნებზე შედეგი.

მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სამოქალაქო საქპროცესო კოდექსის თნახმად დადგენილი წესით, ხოლო კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე გაიცემა სააღსრულებო ფურცელი.

სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ფარგლებში, უმთვრეს საკითხს წარმოადგენს იმ კრიტერიუმების სწორად განსაზღვრა,[84] რომელიც

---

[83] იხ. მ. თოდუა კერძოსამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნისვნელობა, თსუ სასამართლოს მიმოხილვა N1 თბილისი 2016 წ.

[84] იხ.მ. თოდუა, კერძოსამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნიშვნელობა სამოქალაქოდავებზე გადაწყვეტილების მიღებისას თსუ სამართლის მიმოხილვა N1 თბილისი 2016

საფუძველი გახდება შემდგომში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სარჩელზე სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას.

5.2. საქმის წარმოების ხანდაზმულობა

სამოქალაქო სამართალში სიტყვა ხანდზმულობა გამოხატავს, რაიმე ურთიერთობას ან მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის უკან, რომ განვლილი დრო განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებზე და ვალდებულებებე. ხანდაზმულობის დროის დადგენას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ ზოგჯერ შეუძლებებლ ხდება სადაო გარეოებების პირვანდელ მდგომარეობასი არდგენა და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება. განმავლობასი პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია ოითხოვოს თვისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა".[85]

მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით დაწყებული საქმისწარმოებისას, აღნიშნულ მოთხოვნაზე არ ვრცელდება სკ-ის 128-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა, რადგან კანონი არ უშვებს ხანდაზმულობის ვადის გავრცელებას, პირადი არაქონებრივი უფლებებიდან წარმოშობილ დავებზე. [86]

ამასთან „არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მორალური ზიანი, თუ ის მიყენებულია იმ კანონის ამოქმედებამდე, რომელიც ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს იმ შემთხვევაშიც, კი თუ დაზარალებული კვლავ განიცდის ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას, რამეთუ სამქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, არ შეიძლება კანონს ჰქონდეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას (აძლიერებს პასუხისმგებლობას მართლსაწინააღმდეგო, ანუ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებათა ჩადენის დროს მოქმედი კანონთან შედარებით). თუმცა , თუ იმ

[85] იხ. ზ. ახვლედიანი ხანდაზმულობის ცნება 128-ე მუხლში, სსკ-ის კომენტარები წიგნი პირველი გამომცემლობა სამართალი 2002 წელი

[86] იხ. ზ. ახვლედიანი ხანდაზმულობის ცნება 128-ე მუხლში, სსკ-ის კომენტარები წიგნი პირველი გამომცემლობა სამართალი 2002 წელი

კანონის ძალაში შესვლის (ამოქმედების) შემდეგ, რომელიც ადგენს პასუხისმგებლობასმორალური ზიანის მიყენებისათვის, ამ კანონის ამოქმედებამდე დაწყებული ზიანის მიმყენებლის მოქმედებები (უმოქმედობა) გრძელდება, მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს".[87] აღსანიშნავია, რომ თანხის დაკისრება გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ მოწინაარმდეგე მხარე შესაგებელში მიუთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო ხანდაზმულობის საკითხთან დაკავშირებით ვერ იმსჯელებს თავისი ინიციატივით. შესაბამისად ივარაუდება, რომ მოთხოვნა აკმაყოფილებს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობებს.[88]

[87] მ.თოდუა, შ.ქურდაძე გადაწყვეტილების მიღების თავისებურებანი თბილისი2005 გვ.69
[88] იხ. მ.ბიჭია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თავისებურება სამოქალაქოპროცესში თბილისი 2017 გვ60-61

VI სასამართლო პრაქტიკა

6.1ქართული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, პირადი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით, არც თუ ისე მწირი და უმნიშვნელოა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლებ ჩანდეს. საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს ევროპულ მიდგომებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ხშირია შემთხვევები, როდესაც ევვროპული სასამართლოს განმარტებებზე აფუძნებს გადაწყვეტილებებს,[89] „არაქონებრივი ურთიერთობები, თვის მხრივ, მოკლებულია ეკონომიკურ შინაარს და არა აქვს რაიმე ღირებულება, რის გამოც ზიანის დამტკიცებისათვის საკმარისია კანონით დადგენილი უფლების დარღვევაც“.

მოსარჩელემ სარჩელით მიმმართა თბილისის საქლაქო სასამართლოს მოპასუხის მიმართ, მდიის საშუალებით გავრცელებული ცნობების (სადაც მას მოპასუხე ქურდად მოიხსენიებდა) უარყოფის მოთხოვნით. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოსარჩელის მიმართ შეიტანა შეგეებებული სარჩელი რომლის ერთ-ერთი სასარჩელო მოთხოვნა იყო მორალური ზიანის ანაზღაურება. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ თავდაპირველი სარჩელი დაკმაყოფილდა, ასევე დაკმაყოფილდა შგებებული სარჩელი ნაწილობრივ, რომლითაც მოპასუხეს დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 5000 ლარის ოდენობით. მხარეებმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს.

სააპაელაციო სასამართლოს მიერ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. პალატის მიერ განმარტებულია, რომ სამოქალაქო კოდექსის 992 მუხლიდან გაომდინარე, ზიანის ანაზღურების ვალდებულება

[89] ნ. გამხიტაშვილი, პირადი უფლებების ხელყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ანუ სამართლის მიმოხილვა, N1 თბილისი 2016, 180.

პირს უნდა დაეკისროს იმ შემთხვევებში, როცა სახეზეა ზიანი და ეს ზიანი მიყენებულის მრთლსაწინაარმდეგო ქმედებით, ქმედებასა და ზიანს შორის არსებობბს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, შესაბაისად სახეზე უნდა იყოს ზიანის მიმყენებლის ბრალი. აღნისნული პირობების კუმულაციური არსებობა წრმოადგენს იურიდიულ შემადგენლობასა და და ერთეთი მათგანის არარსებობა გამოიცხავს ზიანის მიყენებისათვის მორალური ზინის დაკისრების პასუხისმგებლობის არარსებობას. მოცემულ შემთხვევაში თავდაპირველი მოპასუხის მიერ წარდგენილი ცნობი მაღტალია დსტურდება, რომ მას საჭიროებოდა ოპერაციას, თუმცა საქმეში არსებული მასალები ვერ ადასტურებდნენ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობას ქმედებასა და მიყენებულ ზიანს შორის. უფრო მეტიც საქმეში იწარმოდგენილი იყო ჟურნალიდან ამონარიდი, თავდაპირველი მოპასუხის ერთ-ერთი ინტრვიუდან, რომლის მიხედვითადც მან ინტერვიუში განაცხადა, რომ „ყველა მიკროქირურგს ხერხემალი აწუხებს, რრადგან- - საათიც კი შეიძლება ერთ პოზში იჯდეე და ოპერაციებს აკეთებდე, ხერხემლის თიაქარი მაქვს, რომელიც ძალიან მაწუხებს“. ამდენად აპელანტის მიმერ აღიარებული იქნ, რომ მისი ჯანმრთლობის დაზიანება პროფესიული დაავადების შედეგია და არა ბ.კ-ის დანაშულებრივი გზით მიყენებული ქმედების შედეგი. აღნიშნულ საქმესთან მიმართებით, სააპელაციო პალატამ 413-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განმარტა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას ეკისრება სამი ფუნქცია: ა) ააკმაყოფილოს დაზარალებული; ბ) ზემოქედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და გ) თვიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს წაროადგნს ხელყოფილი უფლბების რესტიტუცია და მიყებნებული ზიანის შედეგად გამოწვეული უარყოფითი ემოციების გაქარწყლება. პირველი ინსტანციის მიერ მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, და აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების გამო, მორალური

ზიანის ასანაზღაურებლად დააკისრა 5000 ლარის გადახდასა. სააპელაციო განჩინება საკასაციო წესით იქნა გასაჩივრებული. დაკისრბული თანხა საკასაციო სასამართლომ შეუსაბამოდ მიიჩნია, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქმეში წარდგენიიი მტკიცებულაბა, ერთ-ერთი ჟურნალისათვის მიცემული ინტერვიუ, სადაც აპელანტი პროფესიულ დაავადებაზე საუბრობდა, რადგან ქმედება კასატორის მიერ ჩადენილი იყო 2005 წელს. ხოლო ჟურნალი დათარიღებული იყო 2008 წლით. ამ პერიოდისათვის კი აპელანტს უკვე ჰქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომლებიც გამოწვეული იყო კასატორის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. პირველი ინსტანციის სასამართლოში არ იქნა მატერიალური ზიანის ანაზრაურებს მოთხოვნა დაკმაყოფიელბული, რადგან მპასუხის მიერ არ იქნა წარდგენილი ჯანმრთელობი დაზიანების შესახებ შესაბამისი მტკიცებულებები წარდგენილი. მხოლოდ მგვიანებით, რაც თერაპიულმა მკურალობამ შედეგი არ გამოიღო, გადაწყვიტა მოპასუხემ ძვირად ღირებული ქირურგიული ოპერაციი გაკეთება, ხერხემალზე, კისრის არეში. საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რომელითაც კასატორი ასაჩივრებდა მისთვის დაკისრებული ჯანმრთელობის დაზიანები მიყენებული მორასლური ზიანის ანაზღაურების ფაქტს. არგუმენტი, იმის შესახებ რომ, ჯანმრტელობისთვის ზიანის მიყენება, ყოველთვის არ იწვევს მორალური ზიანის წარმშობას, საკსაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და მიუთითა სსკ-ის 413-ე მუხლზე, ამასთან სასამართო გაიზიარაშეგებებული სარჩეის ავტორის მტკიცება, რომ ჯანმრთელობის დაზიანებით მან როგორც ფიზიკური ასევე ფიქიკური ტანჯვაც მიღო, ვინაიდან სამტკიცებელ გარემობას არ წარმოადგენს , ის ფაქტი რომ ჯანმრთელობის ელყოფა უარყოფით ზეგავლენას ახდენ ადამიანის ფსიქიკაზე, მით ურო მაშინ, როცა ხელყოფა განზრახ და ძლის გამოყენებით არის მიყენებული. აღნიშნულის

საწინააღმდეგო მოსაზრეება კასატორის მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი.[90]

6.2ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება

ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლოს მიერ განხილულია საქმე ბისერ კოსტოვი ბულგარეთის წინააღმდეგ. საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ განმცხადებელს ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენეს ქალაქ იამბოლის პატარა სუპერმარკეტის მენეჯერმა და მფლობელმა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, განმცხადებელს დასჭირდა სასაწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევა, იგი გადაყვენილი იქნა სავადმყოფოში. ჩატარებული გამოკვლევების თნახმად, განმცხადებელს ჩამსხვრეული ჰქონდა 10 ნეკნი, აღენიშნებოდა სხეულის სხვადასვა ნაწილზე ჰემატომა, ასევე კანქვეშ ეფიზემა და ჰემოპნევმოთორაქსი. განმცხადებელს მოგვიანებით ჩაუტარდა კიდევ დამატებითი კვლევები და რამდენიმე სამედიცინო პროცედურა. დაახლოებით სამ კვირიანი სტაციონარში ყოფნის სემდეგ, განმცხადებელი გაწერეს სავადმყოფოდან და მისცეს 45 დღიანი ბიულეტინი.

სქმეზე დაიწყო სისხლის სამართლის გამოძიება, თუმცა პროკურორმა რამდენჯერმე შეწყვიტა და გნაახლა აღნიშნულ საქმეზე სამართალწარმოება. 2006 წლის 9 თებერვალს პროკურორმა საბოლოოდ შეწყვიტა საქმის წარმოება და იგი აღარ განახლებულა.

საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება განმცხადებალმა გაასაჩივრა. მისი მტკიცებთ, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება მძიმე დანაშული იყო სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად და ბრალდებულს უფლება ჰქონდა სამართალწარმოების პროცესის შეწყვეტა მოეთხოვა ჰამოიების

[90] სუსგ 2012 წლის 3 აპრილის Nას-1477-1489-2011; სუსგ 2013 წლის 25 თებერვალი Nას-1149-1169-2011

დაწყებიდან ორი წლის წლის შემდეგ, საქმის შეწყვეტის მომენტისთვის ეს ვადა რ იყო ამოწურული, შესაბამისად განმცხადებლის მოთხოვნა საკითხთან დაკავშირებიტ ნაადრევი იყო. მიუხედავად აღნიშნულისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა სასამართლომ.

განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის მიმართ ძალადობის ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტინი იყო და უთითებდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტზე.

სასამართლომ მიიჩნია რომ აღნიშნული განაცხადი განსახილვევლი იყო კონვენციის მე-3 მუხლის ფარგლებში, რომელიც გულისხობს „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიიანურ ან ღირსების შემლახავმოპყრობას ან დასჯას“. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს არის დემოკრატიული საზოგადოების ერთ ერთი ფუნდამენტური ღირებულება. იგი აბსოლიტური იმპერატიულობით კრძალავს ადამიანისათვის ღირსების შემლახავა მოპყრობას ან დასჯას.სასამართლო უთითებს, რომ კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად მარალი ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია, მისი იურისდიქციის ქვეშ, ყველასათვის უზრუნველყოს კონვენციით გათვალისწინებული უფლებათა დაცვა. [91]

[91] ბისერკოსტი ბულგარეთის წინააღმდეგ, ევროპის საბჭო2013 წელი

შედეგები და მათი განსჯა

წინამდებარე ნაშრომში, „ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება“ განხილულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული პრობლემატული საკითხები, ნაშრომში გამოყენებულია როგორც მეცნიერული ნაშრომები ასევე სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. ასევე მოცემულია აღნიშნულ საკიტხთან დაკავშირებული სხვა ქვეყნის მოდელები და მათი მცირე ისტორიული ექსკურსი.

მეორე თავი დაეთმო ადამიანის უპირველეს უფლებას-ჯანმრთელობას, უზენაესს, როგორც პიროვნულ უფლებათაგან და განსაზღვრულია მისი დეფინიცია, სხვადასხვა სამეცნიეროო კვლევებზე დაყრდნობით, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ამყარებს აღნიშნული უფლების უზენაესობას, ასევე მეორე თავში მოცემულია მორალური ზიანის ცნება.

საკვლევი თემის პრობლმატიკას დრევანელ სასამართლო პრაქტიკაში წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების თავისებურებანი და მორალური ზიანის ანაზღაურებისოდენობის განსაზღვრა. სწორედ აღნიშნული პრობლემის მიმოხილვას დაეთმო მესამე თავი.

რაც სეეხება მე-4 თავს, მასში განხილულია მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლების წარმოშობა ქართული კანონმდებლობის მიხედვით და დაკისრებული ზიანის ანაზღაურების მიზნებს, რამდენად მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურება დაზარალებულისათვის და რა არამატერიალური სიკეთეების მომტანია მისთვის. მეოთხე თავის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს მე-5 თავი, რომელშიც მოცემულია რა პროცესუალური ეტაპების გავლა უწევს დაზარალებულს, ზიანის ანაზღაურების მოთხოვის წარმოშობის მომენტიდან, დაკისრებული კომპენსაციის მიღებამდე.

მე-6 თავი სრულად ეთმობა როგორც ქაღტულ ასევე ადამიანის უფლებატა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და გადაწყვეტილებების ანალიზს, საკვლევ საკითხთან დაკავშირებით.

დასკვნა

მოცემულ ნაშრომში, ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული არამატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშრებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა გამოკვლეული. კვლევისა და მსჯელობის შედეგად არაერთი მნიშვნელვანი პრობლემის არსისი გაგება და ამ პრობლემის აღმოფხვრის საშუალებების გაგება გახდა შესაძლებელი.

უპრველეს ყოვლისა, კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულ სამართალში, მსგავსად საერთშორისო აქტებისა და სხვა ქვეყნის კანონმდებლობისა, პირველ ადგილზე აყენებს ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლებას. ნებისმიერი ხასიათის ნეგატიური და უხეში ჩარევა, რომლის შედეგადაც ზიანდება ადამიანის ჯანმრთლობა, წარმოშობს უფლებას დაზარალებულისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. მოთხოვნის უფლების წარმოშობისათვის აგრეთვე აუცილებლობას წარმოადგენს ისეთი წინაპირობების არსებობა, როგორიც არის ბრალი და მიზეზ-შედეგობრივი კავშირი.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა არის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრა. თავის მხრივ დადებითად უნდა აღინიშნოს ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შედეგად გამოკვეთილი მნიშვნელოვანი დამოკიდებულება, რომ კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო ინდივიდუალურ ჭრილში განიხილავს თითოეულ შემთხვევას, ერთობლივად აფასებს გარემო პირობებს და კონკრეტულ შემთვევებთან მიმართებაში არ მიმართავს ზოგად მიდგომებს, თუმცა პრობლემა იკვეთება იმ თვალსაზრისით, რომ იზღუდება დაზარალებული პირის მიერ მოთხოვნის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმების არ არსებობით, ვინაიდან როგორც უკვე აღნიშნულია კვლევაში, თავად არაქონებრივი ზიანის ბუნებიდან გამომდინარე, არ არსებობს ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ზუსტი ფულადი

ეკვივალენტი, შესაბამისად არ არსებობს ზუსტი ფორმულა ზიანის ოდენობის განსაზღვრებისთვის. ამიტომ რთულად რეგულირებადია აღნიშნული პრობლემა.

უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარნოადგენს, ჯანმთელობის ცნების ქვეშ მოიაზრებოდეს როგორც ადამიანის ფიზიკური კეთილდღეობა, ასევე მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი ორ აუცილებელ წინაპირობას უსვამს ხაზს, რომელთა არსებობაც წარმოშობს მოთხოვნის უფლებას. საქართველოს კანონმდებლობა ზიანის ანაზღაურების შემთხვევებს განიხილავს მხოლოდ კანონით განსაზრვრულ შემთხვვებში, რადგან კანონმდებლობაში არ გვხვდება ჯანმრთელობის ცნების ზუსტი განმარტება, მისაღები იქნება სასამართლო გადაწყვეტილებებში განვითარებული მსჯელობების გაზიარება და პრაქტიკაში დამკვიდრება. როდესაც საუბარია ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებუული ზიანის ანაზღაურბის შესახებ, უნდა აინიშნოს, რომ მესამე პირები არ არიან უფლებამოსილნი სასამართლოს მიმართონ მიყენებული სულიერი ტრამვის კომპენაციისათვის.

სამოქალაქო სამართალში სამართალში ადამიანის უპირველესი ჯანმრთელობის ხელყოფისაგან დაცვისან დარღვეული უფლებების რესტიტუციისთვის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება.

სასურველია, რომ კანონმდებელი გაბედულად მიუდგეს აღნიშნულ საკითხს და საკანონმდელო აქტებში ცვლილებების გზით გააფართოვოს სამოქალაქო-სამარტლბრივი პასუხიმგებლობის ფარგლები, მორალური ზიანისათვის.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა

1. ახვლედიანი ზ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი
2. ბარაბაძე ნ. მორალური ზიანი და მისი ანაზღაურბის პრობლემა
3. ბიჭია მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების რამდენიმე ასპექტი,
4. ბიჭია მ. პირადი უფლებების ხელყოფის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ქართული მოდელის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან
5. ბიჭია მ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შესახებ საქმეების განხილვის რამდენიმე თვისებურება სამოქალაქო პროცესში
6. გამხიტაშვილი ნ. პირადი უფლებების ხელყყოფით მიყენებული ზიანის ანზღაურება
7. დოღონაძე ლ. მორალური ზიანის ცნება
8. ზოიძე ბ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი
9. თოდუა მ. კერძო სამართლის ნორმების ფუნქციური კლასიფიკაციის მნიშვნელობა,
10. თოდუა მ. ქურდაძე შ. გადაწყვეტილების მიღების თვისებურებანი

11. კვანტალიანი ნ.პაციენტის უფლების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები

12. ნინიძე თ. სამოქალაქო კდექსის კომენტარი

13. ჩიკვაშვილი შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

14. ჩიკვაშვილი შ. პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის

15. ძლიერიშვილი ზ. სატრანსპორტო საშუალების ექსპლოატაციის შედეგად დამდგარ ზიანის ანაზღაურება

ინტერნეტ რესურსი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების კრებული საქართველოს წინააღმდეგ

https://gba.ge/pdf/5fc637491ddeb.pdf/Final%20-%20ECtHR.pdf

CONSTITUTION OF THE WORLD HEALTH ORGANIZATION

https://www.who.int/governance/eb/who_constitution_en.pdf

WHO The Right to Health

https://www.ohchr.org/Documents/Publications/Factsheet31.pdf

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენთა კრებული, წიგნი 3

https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168008ebef

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილება

http://library.court.ge/judgements/83162015-11-19.pdf

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 03 აპრილის გადაწყვეტილება საქმე N ას-1477-1489-2011

http://temida.ge/fullcase/2943///--.pbn

საქართველოს უზენაესი სასამრთლოს 2016 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილება N ას 543-518-2016

http://www.temida.ge/fullcase/2963///--.pbn

ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ (განაცხადი N18156/05)

http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/wiwinadzepirveli.pdf

ბისერ კოსტოვი ბულგარეთის წინააღმდეგ